№ 2932
პარასკევი
14 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ს. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372.

№ 2932
პარასკევი
14 ოქტომბერი

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცის და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

მიეპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—ნ.—11)

ნატალია თომას ასული ნანობაშვილისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 15 ოქტომბერს, დიდუბის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ამიერ კავკასიის რკინის გზის მღვდლის
მ. იროდიონ ნანობაშვილის
სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—1)

ნაფიც ვექილის თანაშემწე
ი. ქ. მაჭავარიანი
გადავიდა
ოლღას ქუჩაზე, ზემმელის აფთიაქის პირდაპირ, სახლი № 14. (5—5)

ქუთაისში
ქალაქის კლუბში 22 ოქტომბერს **გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის „წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" სამკითხველოს** სასარგებლოდ გაიმართება
საცეკვაო საღამო
საკონცერტო განყოფილებით. (უ. 3—2)

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ტფ. ქართ. თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიაში **თავისუფალი ადგილია გიმნაზიის ექიმისა,** რომელსაც ჯამაგირად ეძლევა 2000 მან. ვისაც ჰსურს ხსენებულ ადგილზე გამწესდეს, არზით უნდა მიჰმართოს საზოგად. გამგე კომიტეტს. (3—ნ.—2)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ა. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
გ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—11)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (30—28)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—10)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილ. 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა, სახლი სვანიშვილისა № 15

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—12)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—6)

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—$7^1/_2$ საათ. (თვ.—1)

ექიმი
მ. დ. კილოსანიძე
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. და საღამოობით 5—6 ს.-მდე კოჩუბეევის ქ. № 23 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—12)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთეს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 5—6 საათამდე. (თვ.—80—17)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

განვლილი გზა

—

გუშინ, 13 ოქტომბერს, შესრულდა ორმოცი წელიწადი მას შემდეკ, რაც გლეხთა განთავისუფლების კანონი გამოცხადდა ქუთაისის გუბერნიასა, და ორმოცდა ერთი მას შემდეგ, რაც იგივე კანონი გამოცხადდა ტფილისის გუბერნიაში. ჩვენს გაზეთში ერთხელ და ორჯელ არ ყოფილა აღნიშნული, რომ ბატონყმობის გაუქმება პირველი სხივი იყო ახალის მოქალაქურის ცხოვრებისა: ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან ისიც, რომ მესამოცე წლების საგლეხო რეფორმა სრული არ იყო. აი ეს დაუსრულებლობა საგლეხო რეფორმისა, ე. ი. ნახევრად თავისუფალი ადამიანი ერთის მხრივ და მიწის სიმცირე და ბიუროკრატიული წესი მმართველობისა მეორის მხრივ, შეადგენს იმ ისტორიულ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდა და თანდათან უფრო და უფრო სასტიკის რეალიზმით გადაიშალა ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისთვის.

რეაქციის მოტრფიალე ბნელი ძალები ფანატიკურის ენერგიით ებრძოდნენ მთელის ორმოცის წლის განმავლობაში ქვეყნის იმ ჯანსაღ ელემენტებს, რომელნიც ვერ ურიგდებოდნენ მშრომელ ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ ექსპლოატაციას. ბრძოლა მეტად უთანასწორო იყო, რეაქციის გულახდილ და გულჩათხრობილ მოტრფიალეებს, ყველას კარგად ესმოდათ, რომ იმათის გამარჯვების ერთად ერთს საფუძველს შეადგენდა მშრომელ ხალხის წრიდან თვითშეგნების გამოდევნა, ესმოდათ ეს და არავითარი პოლიტიკური ღონისძიება არ დაუტოვებიათ ისე, რომ ამ მიზნის მისაღწევად არ გამოეყენებინათ, ხალხის შეგნებული ელემენტები ქვეყნისთვის მავნე ადამიანებად აღიარეს და პირველ ყოვლისა იმას ზრუნავდნენ, რომ ეს „მავნე" ელემენტები დროზე ამოეფხვრათ ხალხის ცხოვრებიდან. მრავალი მსხვერპლი შეიწირეს, მრავალი ცხოველმყოფელი გრძნობა და აზრი ჩააქრეს რეაქციონერებმა; დიდს ხანს ცხოვრებას ისე მოხერხებულად ჰქონდა გადაფარებული ზემოდან წყვდიადის ზეწარი, რომ გარეშე მეთვალყურე მხოლოდ უიმედობის კვნესას, უილაჯობის სევდას ჰხედავდა და სხვას არაფერს.

რეაქციის მოტრფიალენი დრო გამოშვებით საყოველთაო იერიშით მიდიოდნენ განთავისუფლების მოღვაწეებზე, „ძირიან-ფესვიანად სწმენდნენ" რუსეთს რევოლიუციონერებისაგან და შემდეგ გულდამშვიდებულნი ისვენებდნენ იმ იმედით, რომ ეხლა-კი ყველაფერი წესიერად არისო მოწყობილი. მაგრამ თავისუფლების რაზმს, როგორც ზღაპრულს დევგმირს, საჩქაროდ ახალ-ახალი მებრძოლნი უჩნდებოდნენ და წინანდელზე უფრო მეტის თავგანწირულებით განაგრძობდნენ დაწყებულს საქმეს.

ვიდრე განთავისუფლების რაზმში მხოლოდ ინტელიგენციის წრიდამ გამოსული ადამიანები იყვნენ, რეაქციონერების ბედს ძალლი არ დაჰყეფდა. გამარჯვება თავის მოწინააღმდეგეზე იმათთვის უზრუნველ-ყოფილი იყო. მაგრამ, ეკონომიურმა გაჭირვებამ და ბიუროკრატიულმა ჰახრაკებმა თვით მშრომელ ხალხში, განსაკუთრებით მუშებში, შეიტანეს იდეალი მიწის და თავისუფლების მოპოვებისა, წინანდელი პატარა რაზმები თან და თან ზღვასავით თვალ გადუწვდენელ ლაშქარად გადაიქცნენ და ეხლა ბრძოლის ქარმა სხვა მხრივ დაჰბერა.

ეხლა ყველასათვის ცხადია, თვით რეაქციის მეთაურებისთვისაც-კი, რომ ისინი გამარჯვებას ველარ ჰნახავენ და „მორიგებაზე", ზავზე ჩამოაგდეს სიტყვა. „ნდობაო" გაისმა რეაქციონერების ბანაკში და ეს „ნდობა" უნდოდათ გადაექმნათ იმ თილისმად, რომელიც ერთის მხრივ თავისუფლების ლაშქარს დააყრევინებდა იარაღს და მეორის მხრივ რეაქციის ბნელ ძალებს გაათეთრებდა.

მალე გამოაშკარავდა, რომ „ნდობის" პლატფორმაზე მოწინააღმდეგეების მორიგება ვერ მოხერხდებოდა. გავიდა ხანი და ნდობის მაგიერ წამოაყენეს „თათბირი". დიახ, თათბირი გაცილებით მეტის შინაარსის სიტყვაა, ვიდრე ნდობა, მაგრამ ის მაინც სიტყვაა და არა საქმე, თავისუფლების ლაშქარი-კი სიტყვას არ დაეძებს, იმას საქმე უნდა.

რა არის ის საქმე, რომელსაც დაეძებს ჩვენი დროის რუსეთი და რომელსაც შეუძლიან ეხლანდელ ანარქიის ნაცვლად მშვიდობიანობა დაამყაროს?—ჩვენის ფიქრით, დამთავრება იმ რეფორმისა, რომლის აჩრდილიც ამ ორმოცის წლის წინად გამოჩნდა და რომელსაც ასე სასტიკად ებრძოდა ნახევარ საუკუნის განმავლობაში რეაქციის ბნელი ძალა. 3—3.

თეორია და სინამდვილე

—

მას შემდეგ, რაც 6 აგვისტოს მანიფესტი გამოიცა და სახელმწიფო სათათბიროს არსებობა დაკანონდა, ბევრს კალამს მოსტეხია რუსეთში წვერი, ბევრ ლიტერატურულ ნიჰს უვარჯიშნია, ბევრ აქამდის უცნობს მოუხვეჭნია სახელი. და ეს სულ სახელმწიფო სათათბიროს უვარგისობის დასამტკიცებლად და არჩევნების წეს-რიგის კრიტიკისთვის.

სულ ორ თვეზე მეტი არ გასულა, რაც კანონი გამოიცა და უკვე ისე გაარჩიეს იგი, რომ ძვლებიც აღარ შეარჩინეს. ამ გვარ სახელმწიფო სათათბიროს დაარსებამ სავსებით ვერავინ ვერ დააკმაყოფილა: ვერც იმის მოყვარულნი, რომ ყველაფერი ევროპიულად იყოს, ვერც ისინი, ვინც სიზმარშიაც კი რუსეთის „თვისებურს" (**самобытность**) ჰხედავენ, და ვერც სახელმწიფოს ძირითად კანონის მოტრფიალენი.

აღმოჩნდა, რომ თავი და თავი ნაკლი სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნებისა ის არის, რომ არჩეულმა სამი და ზოგგან ოთხი ფილტრა უნდა გაიაროს, სანამ თავის ალაგს მიაღწევდეს, რომ გლეხები იძულებულნი იქნებიან, ამომრჩევლობა მიანდონ ისეთ პირთ, რომელთაც სრულიად არ ენდობიან, რადგან ეგრედ წოდებული „**волостной сходъ**" შესდგება ისეთ გლეხებისაგან, რომელნიც გლეხობის უმეტესობას იმის ულარიბეს ნაწილს თავის მტრებად მიაჩნია. ბევრი ითქვა ცენზის სიდიდეზედაც, ასე რომ, ყველას აზრით, სახელმწიფო სათათბიროში ხალხის წარმომადგენლები კი არა, მხოლოდ ექსპერტები მოჰყვებიან, რომელთა აზრიც, უნდა დავუმატოთ, არავისთვის სავალდებულო არ იქნება. ისინიც კი, ვინც დიდ საშინელებას ჰხედავდნენ ცნობილ ოთხ ზედშესრულ სახელში: პირდაპირი, თანასწორი და სხვა, ვერა კმაყოფილდებიან ამ გვარ არჩევნებით, რადგან ხარისხთა, ანუ ეტაპთა რიცხვი, რომელიც უნდა ამორჩეულმა გაიაროს, რუსეთის ყოველ მცხოვრების მცირე მოლოდინსაც კი აღემატა. იმას ხომ თქმა აღარ უნდა, რომ რუსეთის მცხოვრებთა მთელი განცალკევებული ნაწილი, რომელმაც ამ ბოლო დროს აშკარად დაამტკიცა თავისი პოლიტიკური მომწიფებულება და მოქალაქობრივ ცხოვრებისათვის მზად ყოფა, სრულებით კარს უკან დარჩა იმავ მრავალ ხარისხოვან და მაღალ ცენზიან არჩევნების მეოხებით.

ამ გვარი სისტემა არჩევნებისა რომ უვარგისი და უსაფუძვლოა, ჩვენ დამტკიცება არა დაგვჭირდება. ამ სისტემის უსაფუძვლობა, სხვათა შორის, კარგა გამოარკვია მ. კოვალევსკიმ გაზ. „პრავო"-ს ფურცლებზე, მე-35 ნომერში. ცნობილი ავტორი ამტკიცებს, რომ მაშინ, როდესაც პირველად დაარსდა წარმომადგენლობითი მმართებლობა (ინგლისში), არავის ერთ წუთ-წუთსაც თავში არ გაუვლია ინტერესთა წარმომადგენლობა, პირიქით, ყველას აზრად ჰქონდა ხალხისა და არა ქონების წარმომადგენლობა. მხოლოდ დროთა ვითარების ულმობელმა სინამდვილემ ლატაკს ხელიდან გამოაცალა წარმოადგენლობა, რადგან არ შეეძლო დღიური ზრუნვა, დღიური მუშაობა მიეტოვებინა და წარმომადგენლობაზედ ეფიქრა. ბოლოს, რა კი ცხოვრებამ ამგვარი მდგომარეობა შეჰქმნა, კანონმაც თავისი სანქცია მიაშველა. ამის შემდეგ ყველამ იწამა, რომ ქონებათა წარმომადგენლობა სრულიად სამართლიანია, რომ ასე ყოფილა ძველადვე. გამოდის, რომ ყოველივე ცდა ცენზის თეორიაზე დამყარებისა წინდაწინვე უნდა უნაყოფოდ ჩავთვალოთ.

გარდა ცენზისა და ხარისხებისა ბევრი დაიწერა იმაზედაც, რომ სანამ ბეჭდვის, კრებების და აგიტაციების თავისუფლება არ გამოცხადდება, ყოველივე არჩევნები უნაყოფო იქნებაო. ბევრს იმედიც ებადებოდა „თავისუფლების" მიღებისა. არიან ისეთნიც, რომელნიც ახლაც არა ჰკარგავენ ამ იმედს.

მაგრამ ეს კიდევ სულ არ არის. თვით ბიუროკრატიამაც დიდი მწივნობრობა გამოიჩინა ამ საქმეში და ინტელიგენციას არ ჩამორჩა. გამოვიდა ცირკულიარი ცირკულიარზე, რომლითაც ადმინისტრაციას სასტიკად უკრძალავდა ამომრჩევლებზე რაიმე გავლენის გამოჩენას და ძალის დატანებას. თქვენ უნდა მონაწილეობას იღებდეთ არჩევნებში და ზედამხედველობდეთ, მაგრამ მიუდგომლობის საზღვარს ერთს წუთსაც არ უნდა გადასცდეთო, თითქოს მიუდგომლობის ნიჭით ბუნებას პოლიციელი დიდად დაესაჩუქრებინოს. მით უფრო საეჭვოა მიუდგომლობა, რომ პოლიციას მონაწილეობა არ ეკრძალება, ხოლო მონაწილეობის მიღება მიუდგომლად შეუძლებელია.

ასე ბჭობდნენ ჩვენი თეორეთიკოსები, ასე ჰხომდა ცირკულიარებს ჩვენი ბიუროკრატია. პოლიციელნი-კი „აინუნში არ იგდებდნენ", როგორც იტყვიან ხოლმე. ცირკულიარებს, რასაკვირველია, კითხულობდნენ. რამდენადაც ბჭობა მწვავდებოდა, იმდენად მეტი ცირკულიარი და სხვა და სხვა კომისიის დადგენილება გამოდიოდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ დაობა დაიწყეს იმაზედაც-კი, ღირს თუ არა სათათბიროში პროგრესიულ ელემენტების შესვლა, ვითომ გადაწყდა კიდეც, რომ ეს შესვლა შესაძლებელია, ერთის სიტყვით, სათათბირო სრულიად გასწორეს, იმისი მხოლოდ მოგონება-ღა დარჩენ იდა, რომ ეს ცარიელი თეორია არა ყოფილიყო. და რომ ეს მხოლოდ თეორია იყო, ამას გვიმტკიცებს სხვა და სხვა „ნაჩალნიკების" საქციელი. ისინი, როგორც უკვე ვთქვით, ცირკულიარებს კითხულობდნენ, თეორიებს ისმენდნენ, მაგრამ ამავე დროს ულვაშებში იცინოდნენ და ძველებრად „მოქმედობდნენ"

როგორც „რუსსკ. ვედ."-ს და სხვა გაზეთებს ატყობინებენ პროვინციებიდან, პოლიცია ყოველ „ღონეს ხმარობს, რომ არჩევნები ძალდაუტანებლად მოხდეს". აი მაგალითებიც: ერთ სოფელში საერობო უფროსმა გამოუცხადა გლეხებს, რომ დადგა დრო რწმუნებულთა არჩევნებისაო. შეიკრიბა გლეხ-კაცობა. დაასახელეს თავიანთი კანდიდატები. საერობო უფროსმა და ისპრავნიკმა თავიანთი კანდიდატები დაასახელეს. ამათი კანდიდატები იყვნენ: მამასახლისი და სოფლის მწერალი. გლეხებმა ველარ გაჰბედეს ურჩობა და თავიანთ კანდიდატებს მხარი ვერ დაუჭირეს. საერობო უფროსმა და ისპრავნიკმა სიჩუმე თანხმობად იცნეს და გამოაცხადეს: მაშ, ამორჩეულ იქნენ მამასახლისი და მწერალიო. „ჩვენ ამოვირჩიეთ კიდეცაო", ეუბნებოდნენ გლეხები ირონიით მეზობლებს.

აი მეორე მაგალითიც:

ერთ სოფელში შეჰკრიბეს გლეხები წარმომადგენლების ასარჩევად. შეკრებილთ ორი ღარიბი გლეხი აარჩიეს. პოლიციამ გამოუხადა, ღარიბების არჩევა არ შეიძლება, რადგან ვერ გაუძლევებიან იმ ხარჯს, რომელიც საარჩევნო კრებაზე დასასწრებლად არის საჭიროო. გლეხებმა სხვები აირჩიეს, მაგრამ ამათაც ამგვარივე ხრიკი მოუდეს, და ბოლოს არჩეულ იქნენ ისინი, ვინც პოლიციას ესიამოვნებოდა.

აი ის მიუდგომლობა, კანონის დაცვა, რომელსაც ასე ხშირად აცხადებს ბიუროკრატია. ჩვენ ორი მაგალითი მოვიყვანეთ, მაგრამ ესეც საკმაოა „უფროსების" პოლიტიკის გასაცნობად.

ტყუილად გვაგონებს გაზ. „სინ ოტეჩ.“, რომ არის მერვე მუხლი, რომლის ძალითაც პოლიციელთ არჩევნებზე დასწრების უფლება არა აქვთო. კანონის მუხლი ერთია და სინამდვილე-კი მეორე. კანონი და მისი აღსრულება ერთმანეთს არ ემორჩილება, ესენი თავ-თავიანთ გზით მიდიან და ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ-რა. ასეა რუსეთში. ტყუილად-კი არა სწერდნენ ამას წინად, რომ პოლიტიკურ თავისუფლების დაკანონების შემდეგაც-კი დიდიხანი უნდა გავიდეს, სანამ მთელი ბიუროკრატია კანონიერებას მიეჩვევა, სანამ იმისი დიდი და პატარა წარმომადგენელნი ნამდვილად იგრძნობენ, რომ განთიადის სიომ დაჰბერა, და თავ-თავიანთ ქერქში მოთავსდებიან. ჯერჯერობით-კი მიჩვეულნი არიან ცირკულიარი ცირკულიარზე გამოსცენ და დროებით კანონს დროებითვე კანონი მიაყოლონ. არსებითი მხარე ჩვენის ცხოვრებისა ისევ ძველი რჩება. კარგად იციან, რომ თუ ოდესმე „ლიბერალური“ რამ ცილკულიარი გამოვა, იმის მეორე დღესვე წინააღმდეგ ცირკულიარს გააყოლებენ და, ამრიგად, ერთის დღისთვის არა ღირს „კურსის“ შეცვლა.

ასე ფიქრობს ჩვენი მოხელე და ჯერჯერობით არა სცდება. არც შესცდება იმ დრომდე, ვიდრე კანონი და სინამდვილე ერთი და იგივე არ გახდება, ვიდრე „კანონიერებას“ ლიტონ სიტყვის მნიშვნელობა აღარ ექნება. მერე როდის მოხდება ეს? მოხდება მაშინ, როდესაც ჩვენც თეორიებით არ დავკმაყოფილდებით და მტრის განადგურების ილუზიას არ დავჯერდებით, როდესაც სინამდვილე თეორიის მასხარად აგდებას ვეღარ შესძლებს.

გ. ნ.

ხიზან ოსების საქმე.

დიდი ხანია, ლაპარაკი ჩამოვარდა იმ ხიზან ოსების ყოფა-მდგომარეობის მოწესრიგებაზე, რომელნიც გორის მაზრასა და თერგის ოლქში სამაჩაბლოს მთა ადგილებში სცხოვრობენ. ეს საქმე კავკასიის პირველ ნამესტნიკობის დროს აღიძრა 1853 წელს და მას აქეთ, არ იქნა, დასასრული არ ეღირსა.

უფრო გულ-მოდგინედ ამ საქმეს შეუდგნენ შარშან, 1904 წელს. მაშინდელმა მთავარმართებელმა მოიწონა თავის საბჭოს წევრთა უმრავლესობის აზრი, საბჭომ საჭიროდ იცნო მთავრობის დახმარებით საჩქაროდ გამოეყიდნათ სამაჩაბლოს ის ადგილები, სადაც ოსები სცხოვრობენ. ეს ადგილები გამოსყიდვის შემდეგ ოსებს საკუთრებად უნდა დაურიგდეთ, მაგრამ ამ პროექტის განხორციელებამდე საბჭოს საჭიროდ უცვნია ცნობაში მოყვანილიყო ის, თუ რამდენი მიწაა ოსების განკარგულებაში, აგრეთვე რა ღირდა ფულად ის ღალა, რომელსაც ოსები მაჩაბლებს აძლევდნენ ყოველ წლივ.

მთავარ მართებელი ამ საქმის გამო შეკითხებია შინაგან საქმეთა მინისტრს და თავისი აზრაც წარუდგენია. სამინისტრო თანახმა გამხდარა მთავარმართებლის და იმის აზრისა, მხოლოდ საქმის განსახორციელებლად საჭიროდ დაუნახავს შემდეგი ცნობების შეკრება:

1. რომელ სოფლებში არიან დაბინავებულნი ოსები; 2. საზოგადოდ რამდენი გლეხია დაბინავებული თვითეულ სოფელში და ფაქტიურად რამდენი ცხოვრობს იქ; 3. რამდენ კომლს შეადგენს თვითეული სოფელი; 4. რა არის მათი უპირველესი სალსარი ცხოვრებისა და რა ხელობას უფრო მისდევენ; 5. საზღვრები და სივრცე მიწებისა, მიწის-მზომლების მიერ გადაღებული; 6. რამდენი დესეტინაა საზოგადოდ გამიჯნულ საზღვრებში და რამდენია ცალკე სახნავი, ცალკე სათიბი, საძოვარი და ტყე; 7. ჩამოთვლილ ადგილებიდან რომელი შეადგენს საკუთრივ ოსების სამფლობელოს და რომელი ოსებისა და მაჩაბლების საზოგადო სამფლობელოს, აგრეთვე რომელს უფლობენ სერვიტუტის ძალით; 8. სარგებლობს თუ არა ყველა გლეხი ადგილებით და რა სივრცე აქვს თვითეულ ნაჭერს, ან რითი აიხსნება სხვა და სხვა ზომა ადგილებისა; 9. როგორის წესებით სარგებლობენ გლეხები მიწით, კომლობით, საზოგადოებით თუ არეულად; 10. რომელ მიწებით სარგებლობენ უფასოდ და რომელში აძლევენ გადასახადს და 11, ზომა ღალისა, როგორც ფულად, ისე ჰირნახულით. ჰირნახული შეფასებული უნდა იქნას ფულად; აგრეთვე გამოსყიდვის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ახლო-მახლო მდებარე მიწის ფასები.

ეხლა, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, მთავრობა ძალიან აჩქარებს ამ საქმეს და სცდილობს ასე თუ ისე გადაწყვიტოს სამაჩაბლოს ოსების მოწყს-რიგების საკითხი.

ყაზახებთან შეტაკება მოსკოვში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ცხოვრება შეუძლებელი გახდა. დღევანდელ პირობებში კაცი მეტად მომთმენი და გულქვა უნდა იყოს, რომ ყოველივე ის აიტანოს, რაც გარშემო ხდება. ცემა-ტყეპა აშკარად, მზისით-დღისით ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. თავისუფლად აღარ გასუნთქვენ ჰაერს, ნება-დაურთველად მზეს აღარ გაჩვენებენ. ვინ მოსთვლის, რამდენი უმანკო სისხლი დაიღვარა ამ ბოლო დროს, რამდენი გულშემზარავი და თავზარდამცემი ამბავი მოხდა თვალ გადაუწვდენელ რუსეთის სივრცეზე.

ამ ჟამად მინდა მკითხველებს გავუზიარო ის საშინელი ამბები, რომელიც მოსკოვში მოხდა სამ ოქტომბერს და რომლის მოწმეც თვით მე გახლდით.

რუსეთის საზოგადოებას წილად ხვდა ერთადერთი დღე, თუმც სამგლოვიარო, მაგრამ მაინც აღფრთოვანებით გამსჭვალული. ეს ის დღე იყო, როდესაც მოსკოვის ქუჩებში ხალხმა თავისუფლად მოიყარა თავი, რომ უკანასკნელი პატივი ეცა განსვენებულ ს. ნ. ტრუბეცკოისათვის. ამ დღეს იგი უზრუნველი იყო პოლიციის აპეკისაგან. ფიქრობდა, ჩემი პიროვნება არ იქნება შეურაცხყოფილი, რომ წესრიგის დამცველი აქ სხვაა, მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა. დარწმუნებული იყო ამას ხალხი და მოვიდა კიდეც. მთელი დღე, დაწყებული დილის ხუთ საათიდან, ვიდრე საღამოს რვა საათამდე, ამოდენა ხალხს წეს-რიგი არ დაურღვევია. ასე იქცეოდა ხალხი, მაგრამ მაინც მოსტყუვდა...

საქმე ის არის, რომ ცხედრის დაკრძალვის შემდეგ იქ მყოფნი სიმღერით გამოემართნენ ერთ დიდ, განიერ ქუჩით. გზაზე დახვდა ერთი სოტნა ყაზახებისა. ხალხი იმ წამსვე შუაზე გაიყო და გზა მისცა წყნარად მიმავალ ყაზახებს. მერე კვლავ შეერთდა და მთელი ქუჩა დაიჭირა. ხელ-ახლა გაისმა სიმღერის ხმაც. არ გაუვლია დიდი მანძილი, რომ შეეჩხა მეორე სოტნას. ყაზახებს თოფები განმზადებული ეჭირათ და აქით-იქით იყურებოდნენ, თითქოს ვიღაცას დაეძებენო. ხალხმა კვლავ დაუთმო გზა. როდესაც ხალხი მიადგა ერთ ხიდს, თვალი მოჰკრა, რომ ხიდზე რაღაც მუშაობა იყო და იმის კიდეებზე ხე-ტყე და სხვა მასალა ეყარა. მომავდ ხალხს ფეხდაფეხ მოსდევდა ყაზახთა რაზმი. მალე ხალხმა ისიც დაინახა, რომ მეორე მხრისაც ყაზახები იდგნენ, ხოლო გვერდზე ჩასახვევი ქუჩები ცხენოსან ჟანდარმებს ეჭირათ.

ამ გვარად ხალხი გაება მახეში და ჩასაფრებულთა შუაში მოჰყვა. ყველა სხტად დარჩა. ხალხი შეკრთა, შიშმა აიტაცა და მიაწყდა ერთმანეთს, სცდილობდა გზა გაეკაფნა და თავისთვის ეშველნა, მაგრამ გვიანღა იყო. გაისმა მათრახების ტკაც-ტკუცი, იელვა ხმლებმა; დაიწყო უწყალო ცემა-ჟლეტა. ჰაერი გაივსო წივილ-კივილით, ოხვრა-კვნესით. აგერ უმწეოდ გაჰკივის ფეხს ქვეშ მოყოლილი ბავშვი, აგერ ერთ სტუდენტს დასტაკებია ცხენოსანი და რაც ძალი და ღონე აქვს, მათრახს უშენს. ასე მარჯვნივ და მარცხნივ წინ და უკან. სინათლის მუქზე თვალი მოვკარ ცხარე ძრწოლას მდინარის კიდესთან. ნაპირზედ ხვიად მოკრუნცხული კაცი სცდილობს თავი დაიხსნას ცხენოსანს. ცალ მხარეს მდინარეა, მეორეს მხარეს გაავრთებული ცხენოსანი. ცხენი ძალზე იწევს წინ, მათრახი მედგრად ნავარდობს კაცის ზურგზედ. კაცს ვეღარა მოუხერხებია-რა... აამჯერს რა ფეხი მდინარეში გადაეშვა, *) სინათლის მუქზევე მდინარეში აქა-იქ თვალი მოვკარი ზოლად გაღოდებულ სისხლს...

ასეთი იყო დასხლოვებით ის სურათი, რომელიც 3 ოქტომბერს მოხდა. ასეთივე ძალმომრეობა და ცემა-ტყეპა გამართა 2 ოქტომბერს პეტერბურგში იმავ ტრუბეცკოის გასვენების დროს. ამ ორმა მოვლენამ, შეკავშირებულმა განსვენებულ რექტორის სახელთან, აიძულა სტუდენტობა თავისი მსჯავრი დაედო ამ გვარ საქციელისთვის.

ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, იურიდიულ აუდიტორიაში თავი მოიყარა ორი ათასზე მეტმა სტუდენტმა. კრებას აუწყეს ძალ-მომრეობის ფაქტები მათ, ვინც დაესწრო. ეს კრება დანიშნა უნივერსიტეტის მთავარმა ორგანომ, რომელსაც დავალებული აქვს განაგოს საუნივერსიტეტო საქმეები. ეს ორგანო შესდგება ყველა კურსისა და ფაკულტეტის წარმომადგენელთაგან.

დიდის ხნის ბჭობისა და ლაპარაკის შემდეგ კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

„უნივერსიტეტის მთავარი ორგანო აუწყებს სტუდენტებს, რომ 5 ოქტომბრის კრებამ, განიხილა-რა ფაქტიური მასალა 3 ოქტომბრის ამბების შესახებ, დაადგინა: კრება, უცხადებს რა თავის გულისწყრომას და ზიზღს იმ წესწყობილებას, რომელიც ჰქმნის ამგვარ ძალმომრეობას საერთოდ რუსეთში და კერძოდ მოსკოვსა და პეტერბურგში, საჭიროდ სთვლის აუწყოს სტუდენტებს, რომ დემონსტრაციების გამართვა ბნელ ღამეებში, მიყრუებულ ქუჩებში, წინდაწინვე შეუთანხმებლად კრებას მიაჩნია უაზრო და შეუწყნარებელ მოქმედებად სარევოლიუციო ტაქტიკის მხრივ. არ შეიძლება ქუჩაში გასვლა მოუწყეს-რიგებლად და ცარიელის ხელით მოწყეს-რიგებულ ჯარის წინააღმდეგ. ამიტომ კრებამ დაადგინა:

1) მოითხოვოს ყველა იმათი განთავისუფლება, რომელიც 3 ოქტომბრის ამბების გამო დააპატიმრეს.

2) ამ მოთხოვნის ნიშნად გამოცხადდეს სწავლის შეწყვეტა იმ დრომდე, ვიდრე დატუსაღებულ ამხანაგებს არ გაანთავისუფლებენ.

და 3) გამართოს ამ ცოტა ხანში პროტესტის გამომხატავი მიტინგი.

ამ დადგენილების აღსრულებაში მოყვანა დაევალოს უნივერსიტეტის მთავარ ორგანოს“.

ამგვარად უნივერსიტეტი კვლავ დაიკეტა. დღეს ეს დადგენილება განუცხადეს იმ პროფესორებს, რომელნიც ლექციების კითხვას იწყებდნენ, ბევრმა მათგანმა, როგორც თანახმამ, შესწყვიტა კითხვა.

საქმე ძლიერ და ძლიერ გამწვავდება, მეტადრე მაშინ, თუ ამ დადგენილებას მხარი დაუჭირა აკადემიისტთა კორპორაციამ.

უნივერსიტეტში გამოკრულია შემდეგი განცხადება:

„რექტორის მოადგილე საჭიროდ სთვლის გამოაცხადოს, რომ პროფესორთა საბჭომ დაადგინა დაუყოვნებლივ შეჰკრიბოს დაწვრილებითი ცნობები შეტაკების შესახებ, რომელიც მოხდა 3 ოქტომბერს მოსკოვის ქუჩებში, და აგრეთვე დაშავებულ სტუდენტთა შესახებ“. ეტყობა, პროფესორთა საბჭოსაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია ამ მოვლენისათვის.

Al.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ დღეებში კივკასიის ნამესტნიკთან ქართველთა საეკლესიო საქმეების გამო განსაკუთრებული დეპუტაცია იყო. ქვემოდ ვბეჭდავთ დაწვრილებით ამბავს ამ დეპუტაციის შესახებ.

ალბად, ზოგი მკითხველი შეგვეკითხება, ჩვენ თითონ რა აზრისა ვართ ამ საგანზე და რას ვფიქრობთ დეპუტაციის გაგზავნაზე. ვამბობთ, **ზოგი მკითხველი**, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენის გაზეთის მკითხველთა უმეტესობამ იცის, რა თვალით ვუყურებთ ჩვენის „მამების“ ტაქტიკას. ამათ კიდევ სწამთ 100 წლის განმავლობაში ნაცად გზების ძლიერება. „ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“, ამბობენ ისინი და იმედით გამსჭვალულნი კვლავ იშვერენ ხელს სათხოვნელად... დეე, ნათქვამია: „კაცია და გუნებაო“ და „ნეტარ არიან მორწმუნენიო“... იარონ და ითხოვონ...

რაც შეეხება არსებითად საქართველოს საეკლესიო საქმეთა მდგომარეობას, წინადაც გამოგვითქვამს ჩვენი აზრი და ახლაც მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებას წერილს „თანამედროვე მოძრაობა და სამღვდელოება“, რომლის ბეჭდვასაც ვიწყებთ დღეს (იხ. ფელეტონი) და რომელშიაც ჩვენი თანამშრომელი სავსებით არკვევს ამ საჭირ-ბოროტო საკითხს.

ახალი ამბავი

◆ 12 აგვისტოს მოხდა კრება ეგრედ წოდებულ „პატრიოტულ პარტიის“ მუშებისა. კრებამ დაადგინა, **მონაწილეობა არ მიიღონ მომავალ მოსალოდნელ გაფიცვაში.**

◆ რადგან მოსკოვ-ბრესტის, მოჟაისკ-მოსკოვის, რიაზან-ყაზალის და ნიკოლაევის რკინის გზებზე **ყოველივე მოძრაობა შეჩერდა**, ამიერ-კავკასიის რკინის გზა ამ გზებზე გასაგზავნ საქონელს აღარ იღებს.

◆ ტფ. გუბერნიის **თავად-აზნაურთა სტიპენდიანტების გაჭირვების** შესახებ მოსკოვიდან ორი წერილი მოგვივიდა. მეორე თვეა თურმე, რაც ამ სტიპენდიანტებ ერთი გროში არ მიუღიათ. არამც თუ ფული, უბრალო ცნობა [illegible] მისდი საქმის ვითარების შესახებ. საჭიროა იმ დაწესებულებამ, რომელსაც სტიპენდიების გზავნის საქმე აქვს ჩაბარებული, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, და თუ სტიპენდიების გაგზავნას აღარ აპირებს, აცნობოს მაინც, რომ სტუდენტობამ სხვა გზა და საშუალებას მიჰმართოს.

◆ 12 ოქტომბერს ვერაზე, სატი უცნობმა კაცებმა **მოჰკლეს პოლიციელად ნამყოფი** ვასილ ჯიოშვილი. ამ დღეს, საღამოთი, ჯიოშვილი მედუქნე მელაძესთან ერთად შესულა ადამაოვის დუქანში, სადაც ამ დროს 5 კაცი ღვინოს შეექცეოდა. მელაძე გამობრუნებულა, ხოლო ჯიოშვილი ღვინოზე მიუწვევიათ. სმის შემდეგ ოთხ კაცი ჯიოშვილთან ერთად გარედ გამოსულან. ამ დროს ვიღაცას აუღია მ ტივის ნაჯახი და ისე მაგრა დაურტყამს ჯიოშვილისათვის თავში, რომ თავ გაჩეჩილ იქვე ჩაუკეცია და მომკვდარა. პოლიცია ამ საქმის გამო დააპატიმრა მეტივენი შიო ბეჟიტაშვილი და ნაჯახის პატრონი ნატ რაშვილი.

◆ ამ თორმეტის წლის წინად ტფ. მ ტეხის საპყრობილესთან დააარსეს სტამბა. აზრად ამ სტამბას ჰქონდა ერთის მხრივ ის, რომ ტუსაღებს შეესწავლათ ასოთ-აწყობა ამასთან გართულიყვნენ კიდეც და მეორე მხრივ ცოტაოდენად ნივთიერი დახმარე აღმოეჩინათ ტუსაღებისთვის. მაგრამ განვლ დრომ და ფაქტიურად ეს საქმე ექსპლოატაციის ბუდედ გადაიქცა. ტუსაღებს ამ შავებდნენ, მაგრამ აღებით ყოველი მათგანი მანეთ ნახევრიდან ხუთ მანეთამდე ძლივ იღებდა თვეში. თუმცა მოგების ოცდა ათ % მომუშავე ტუსაღებიც უნდა ყოფილიყო, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ხარჯში არ ანგარიშობენ მომუშავეთა ჯამაგირს, გარდა სამ კერძო მომუშავისა, რომელნიც შაგირდების მაგიერობას ეწევიან, კარგი მოგება უნდა რჩებოდეს მომუშავე ტუსაღებს შორის გასანაწილებლად. მომუშავე ტუსაღებმა მიჰმართეს პროკურორს და სთხოვეს, ექსპერტების დახმარებით გამოიძიოს ეს საქმე. 1 ოქტომბერს პროკურორმა დაიწყო გამოძიება, გამოძიებიდან გაკეთებულ საქმის შეფასებიდან და ხარჯის გადასინჯვიდან სჩანს, რომ საქმეებს იღებდნენ მცირე ფასებში, ხოლო ხარჯი კი ნორმალურზე მეტი მოდიოდა. მომუშავე ტუსაღებმა მოითხოვეს, რომ საქმის წარმოება მთლად იმათ გარდასცეთ, რისთვისაც აირჩიევენ ცალკე კომიტეტს. როგორც გავიგეთ, ეს თხოვნა შეწყნარებული იქნება.

◆ რამდენისამე წლის წინად, როგორც უკვე ვწერდით, ბენდეროვსკისა და ფონროობის მეთაურობით შესდგა კერძო სააქციონერო საზოგადოება, რომელმაც მიიღო კონცესია **რკინის გზის გასაყვანად** ქუთაისიდან ლეჩხუმის მაზრისაკენ როკალის მთამდე. რკინის გზა, ზომით დაახლოვებით 75 ვერსი, ინჟინრების მიერ გამოკვლეულია და დაიწყება ქუთაისიდან, ჯერ გზის კეთებას არ შესდგომიან, რადგან საზოგადოების აქციების უმეტესი ნაწილი არ დაუბინავებია და გაანაღდებს თუ არა საკმაო რიცხვ აქციებისას, გზისშენებასაც შეუდგება. როგორც ისმის, უმთავრესი აზრი გზის გაყვანისა ის არის, რომ ლეჩხუმის მაზრის მადნეულობის ექსპლოატაცია გაცხოველ

ფელეტონი

თანამედროვე მოძრაობა და სამღვდელოება.

წინასიტყვაობა.

საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ჩვენს პატარა კუთხეს გასაოცარის სისწრაფით მოედო, ჩვენ, ქართველთათვის, საგულისხმო განსაკუთრებით იმითია, რომ აქ, ამ მოძრაობაში, ჩვენმა ხალხმა პირველად წამოაყენა ერთობლივ ზოგად ცხოვრების თითქმის ყველა უმთავრესი საკითხი—პოლიტიკური, ეკონომიური, პედაგოგიური და სარწმუნოებრივი. ჩვენს ისტორიას არ ახსოვს არც ერთი მომენტი, როდესაც აღნიშნული საკითხები ყველა ერთად ყოფილიყოს ქართველი ერისმიერ წარმოყენებული. და დღევანდელ მომენტის სიდიდე და ისტორიული მნიშვნელობაც სწორედ ის არის, რომ აქ პირველად იშლება და თვალ-საჩინო ხდება ის სოციალურ-ფსიხოლოგიური ნიადაგი, რომელზედაც ამას იქით თანდათან უნდა გამოირკვეს და განხორციელდეს მრავალ-გვარი იდეალები ჩვენის ერისა: პოლიტიკური, ეკონომიური, პედაგოგიური და სარწმუნოებრივი.

ზოგი ამ იდეალთაგანი ჩვენის იდეოლოგების მიერ ავად თუ კარგად უკვე გამორკვეულია და დღეს თანდათან შედის ხალხის ცნობიერებაში. ასეთია, მაგალითად, ეკონომიური და პოლიტიკური პროგრამები. ზოგს-კი, როგორც, მაგალითად, სწავლა-აღზრდის საქმესა და სარწმუნოებრივ მდგომარეობის გამორკვევას, ჩვენი ხალხი, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ ბევრ შრომასა და დროს მოანდომებს, თუ მას ყოველი შეგნებული და საქმის მცოდნე ადამიანი არ დაეხმარა. ეს განსაკუთრებით სარწმუნოების შესახებ უნდა ითქვას, რადგან ამ საგანს, ბევრ სხვა და სხვა საპატიო და არა-საპატიო მიზეზებისა გამო, ჩვენი განათლებული ახალთაობა შორს გაურბის, ყოველ შემთხვევაში, უხერხულად სცნობს ასეთ „მოძველებულ“ რამეზე წერილობით საქვეყნოდ ხმა გამოიღოს, რათა „კლერიკალისა“ და „რეტროგრადის“ სახელი არ დაიმსახუროს, ხოლო თუ რაიმე გზით გაბედა და ხმა ამოიღო, ისეთი რამე უნდა სთქვას, რომ თვით უუწითლეს-უუკიდურესმა რადიკალმაც-კი მის ნათქვამში ანტი-კლერიკალური და სარწმუნოების საწინააღმდეგო უფრო მეტი ამოიკითხოს, ვიდრე „კლერიკალური“ და ნამდვილ-სარწმუნოებრივი. რაც შეეხება თვით სამღვდელოებას, უკანასკნელ დრომდე ის კიდევ მეორე გვარს უკიდურესობაში ვარდებოდა. მისთვის დახშული და გაუგებარი იყო თითქმის ყველაფერი, რასაც-კი პროგრესისა და ლიბერალიზმის სუნი უდიოდა, რაც მის განუვითარებელს ცნობიერებას არ ეთანხმებოდა. აქედან ხშირად წარმოდგებოდა ხოლმე ისეთი მაგალითი, რომ თუ კი რომელიმე ჩვენი სასულიერო პირი სამღვდელოების შორეულ წარსულს შეეხებოდა, უსათუოდ თავის მოვალეობად რაცხდა ყოველ-გვარ სიკეთის წყაროდ და ჩვენი ეროვნების მხსნელ ვარსკვლავად გამოეყვანა იგი; ხოლო, თუ სიტყვას მის აწმყოზე ჩამოაგდებდა, აქაც ძლიერ უჭირდა წოდებრივ თავის-დაცვის გრძნობას არ გაჰყოლოდა და ყოველ მხრივ მიუკერძებელი სიტყვა ეთქვა. სულ მცირე, მეტად მცირე ხანია, რაც ჩვენის სამღვდელოების იდეოლოგებმა, რამდენადაც საქმე მის გაუკუღმართებულ აწმყოს შეეხება, წოდებრივ მიკერძებას თავი დაანებეს და სამღვდელოების დაცემულ მდგომარეობას სადის თვალით შეხედეს; მაგრამ წარსულის შესახებ-კი სამღვდელოება დღესაც იმავე ძველებურს ოპტიმისტურ აზრს ადგია და, თვის აწმყო არარაობის მცნობელი, თითქოს უფრო მეტადაც აზვიადებს იმ წარსულის მნიშვნელობას.

ჩვენ წინ ძევს სამი ქართული გაზეთი: „მწყემსი“, „ივერია“ და „მოგზაური“.

პირველში (№№ 11, 12 და 13-14) მოთავსებულია უსახელო ავტორის სტატია: **„საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება უწინ და ეხლა“.**

მეორეში (№ 130) - ბ-ნ ივ. გომართელის წერილი: **„რა გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება?“**

ხოლო მესამეში (№ 29)—ბ-ნ ი. ნაკაშიძის შენიშვნა გომართელის წერილის შესახებ, შემდეგის სათაურით: **„მსჯელობის უფსკრული.“**

ეს სამი წერილი იმდენად ტიპიურს, მომენტის დამახასიათებელს, მოვლენას წარმოადგენს ჩვენს თანამედროვე პრესაში, რომ, სანამ სამღვდელოებისა და მასში დაწყებულ მოძრაობის შესახებ ჩვენს საკუთარ აზრს გამოვთქვამდეთ, არ შეგვიძლია მკითხველს მოკლედ არ გავაცნოთ ამ წერილებში გამოთქმული უმთავრესი აზრები და შეხედულებანი.

ყველა ეს აზრ-შეხედულება შეგვიძლია შემდეგ სამ საკითხის მიხედვით დავჰყოთ ჯგუფებად: ა) რას წარმოადგენდა სამღვდელოება დღემდე? ბ) საჭიროა იგი ხალხისთვის დღეის იქითაც თუ არა? და, გ) თუ საჭიროა, რა გზას უნდა დაადგნენ სამღვდელოება და ხალხი, თუ სურთ საეკლესიო საქმეში სასურველ მიზანს მიაღწიონ?

ვეცდებით, აქ აზრებს და შეხედულებებს შესაფერი მსჯავრი დავდოთ და, ამისდა მიხედვით, აღნიშნულ საკითხების შესახებ ჩვენი საკუთარი შეხედულებაც გამოვარკვიოთ.

ვალსამონი

(შემდეგი იქნება)

რა პოლიტიკას მისდევს ინგლისი ახალშენებში

(დასასრული *)

ინგლისის მთავრობის და ხალხის დამახასიათებელია, სხვათაშორის, ის ფაქტიც რომ ამ კრებაზედ ინგლისის წარმომადგენელმა, ჩემბერლენმა ახალშენთა შავ-კანიანი ემიგრანტები არ დაივიწყა და მათ და ევროპიელთა უფლებათა გათანასწორება მოითხოვა. საქმე იმაშია, რომ ავსტრალიის ზოგიერთი ახალშენი და ნატალი შავ და ყვითელ კანიან ემიგრანტებს ყოველმხრივ ზღუდავდნენ და თავიანთ მიდამოებში არ იღებდნენ. ინგლისმა პირველადვე გამოაცხადა თავისი პროტესტი, მაგრამ ამ პროტესტს არავითარი შედეგი არ მოჰყვა. ეხლა ჩემბერლენმა პირველ მინისტრთა ყრილობით ისარგებლა კვლავ აღძრა ეს კითხვა და შემდეგ პარლამენტს მოახსენა: „ეს კითხვა თუმცა საბოლოოდ ვერ გადასწყდა, რადგან პირველ მინისტრებს სამისო უფლება არა ჰქონდათ, მაგრამ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ამის შემდეგ ბრიტანიის ქვეშევრდომს მარტო იმიტომ, რომ იგი შავ ან ყვითელ კანიანია, ადამიანურ-მოქალაქეობრივ უფლებებს არავინ შეუზღუდავსო“.

შემდეგშიაც ბევრი იმისთანა კითხვა წამოაყენა ცხოვრებამ, რომლებშიც სხვა და სხვა ახალშენთა და მეტროპოლიის შეკავშირება-შეთანხმება შესაძლებელი შეიქნა. ამ გვარად ფედერატიულმა მისწრაფებამ უკანონმდებლოთაც გაიკვლია თავისი გზა და ინგლისის კონსტიტუციასავით თანდათანობით დაიწყო ზრდა. ეს მისწრაფება საერთო მტრის მოგერიების დროს უფრო აშკარა შეიქნა. ჯერ სუდანში გალაშქრების დროსვე აღუთქვეს ინგლისს თავისი დახმარება კანადამ და ახალმა ვალისმა, მაგრამ ყველა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ინგლის-ტრანსვაალის ომის დროს გამოაშკარავდა. მეტად საგულისხმიეროა ახალ ზელანდიისა და კანადის პირველ მინისტრების სიტყვა. ახალ ზელანდიის მინისტრი ამბობდა: „იმპერიის ინტერესებთა დასაცველად დღეს ფული და სამხედრო პირნი გვე საჭიროება. ნუ დავივიწყებთ, რომ მარტო ბურებს არ ვეომებით; ბურებს ეხმარებიან ისინი, ვინც შურის თვალით და მტრული გულით უცქერიან ინგლისის ერის გაერთიანებასა და გაძლიერებას და რომელთაც ყოველი ჩვენი მარცხი სიხარულისა და ბედნიერების მეტს არას მოუტანს. ახალმა ზელანდიამ მეტროპოლიის დასახმარებლად ერთი რაზმი გაჰგზავნა კიდეც და მეორე დღე დღეზე დაანებებს ჩვენ სამშობლო თავსა. ახალი ზელანდია მზათ არის მეტროპოლიის სახელისა და პატივის დასაცველ

---

*) შემდეგ გავიგე, რომ იგი გადაურჩენიათ და მიუყვანიათ ბახრუშინის სახლში. იქ მცხოვრებ სტუდენტ ქალებს ბევრის მეცადინეობით იგი გონზე მოუყვანიათ.

*) იხ. „ცნობ. ფურ.“ № 2929

და ხელი შეუწყოს ამ საქმის განვითარებას. ჯერ-ჯერობით ამ გზაზე მოქმედებს ერთად-ერთი ქარხანა ბარიტისა, რომელიც სტეფანოვს ეკუთვნის. ამბობენ, რომ გზა გაივლის მადნეულობით მდიდარ ადგილებშიო. სტეფანოვის ქარხანა ქუთაისიდან 8 ვერსის მანძილზეა, და პირველ სადგურს ამ ქარხანასთან აპირებენ გამართვას. ამ გარემოებას დაუფიქრებია სოფელ რიონის, ხარათის, მეჩხერის, კუდოთის, ქონეთის და ფიჩხეთის მცხოვრებნი, რადგან თუ სადგური ბარიეთის ქარხანასთან გაიმართა, ისინი რკინის გზას მთლად მოსწყდებიან. ამის გამო ამ სოფლების სახელით ბ-ნმა ფ. ძოწენიძემ სთხოვა ქუთ. გუბერნატორს, რომ სადგური ქარხანასთან კი არა, სოფელ ოფორჩხეთში გაიმართოს, წინააღმდეგ შემთხვევაშიო, ამბობენ მთხოვნელები, იძულებული შევიქნებით მიწის შეძენის საქმეში ხელი შეუშალოთო. უნდა გავახსენოთ მკითხველს, რომ მიწის შეძენა ლიანდაგისათვის, უმაღლესის ბრძანებით, სავალდებულოდ არ არის აღიარებული.

◆ ბალაჯარაში 9 ოქტომბერს, როდესაც სამხედრო მატარებელი სადგურზედ დადგა, ახლად გაწვეულმა სათადარიგო **ჯარის კაცებმა მთლად აიკლეს** ბუფეტი. ჭურჭლეულობა სულ მილეწ-მოლეწეს. 11 ოქტომბერს ამავე ჯარის-კაცებმა უწესოებანი მოახდინეს ქურდამირში. როდესაც სამხედრო მატარებელი იქ მისულა, ჯარის კაცნი იქვე ახლო თათრის უბანში წასულან საჭმლის სასყიდლათ. მაგრამ დაუწყიათ ტაცობა და აკლება. ამის გამო ამტყდარა რევოლვერებისა და ქვის სროლა. ჯარის-კაცი დაშავებულა შვიდი, თათარი ექვსი,

◆ 11 ოქტომბერს, დილის $10^1/_2$ საათზედ, სუფსასა და ჯუმათს შუ., როგორც დეპეშით უკვე გვაცნობეს, ასმა შეიარაღებულმა კაცმა გააჩერა მატარებელი № 22, რომლითაც მოდიოდა სამხედრო ტრანსპორტი. თავდამსხმელთ გაალეს ვაგონი, გადმოიღეს **ხუთი ყუთი რევოლვერი** თავის მოწყობილობით და გადაიმალნენ.

◆ ტფ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ ხვალ 15 ოქტომბერს, **კენჭის ამოღების დღეს**, დაიკეტოს სასმელის დუქნები დილის 6-დან საღამოს 4 საათამდე. ასე იქნება კენჭის ამოღების დასასრულამდე.

◆ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, **ბათუმის გიმნაზია დაიკეტა**. (ჩ. ვ.)

◆ ამას წინად თელავის მაზრის სოფ. ქისტაურის დროებით მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს, **მიეცეთ სახელმწიფო ადგილები**; ეხლა სოფელს კიდე გაუმეორებია ეს თხოვნა.

◆ **მეაბრეშუმეთა განზრახული კრება**, როგორც გავიგეთ, აღარ მოხდება.

◆ მთავრობამ არ შეიწყნარა შინა მრეწველობის კომიტეტის თხოვნა 12,000 მანეთის გადადების შესახებ. ამ ფულით ფიქრობდნენ ტფილისში **სართავ სკოლა-სახელოსნოს გახსნის**.

◆ ინჟ. ვუსცელი პეტერბურგში გაიწვიეს. მოლაპარაკება იქმნება **კავკასიის ულელტეხილზე რკინის გზის გაყვანის** შესახებ. ინჟ. ვუსცელმა, როგორც ვუწყით, წარადგინა პროექტი ამ გზისა.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში მეორე გილდის ვაჭარმა იაგორ ნავთიკოვმა განაცხადა, რომ 12 ნოემბერს, ღამე, შუა ბაზარში მის მაღაზიაში სახურავიდან ჩაიპარნენ ქურდები და წაიღეს 500 მანეთის ნივთები, 300 მან. ფულად და 400 მანეთისა თამასუქები.

—

შეცდომის გასწორება. „ც. ფ.“ გუშინდელს წერილში „მარქსისტების ახალი იერიში“ დაბეჭდილია: მოგზაურებს ჰგონიათ, რომ უტოპისტი ის არის, ვინც რაიმე ზეისტორიულ კატეგორიას სცნობს, და არა ფანტასტიურ გეგმებს **სთხოვს**; უნდა იყოს: „ვინც ფანტასტიურ გეგმებს **სთხზავს**.“

ქუთაისის ამბები

◆ 10 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ბალახვანის ქუჩაზე, ორი ყაბალახებით თავ შეხვეული უცნობი დახვდა სახლში მიმავალს ქუთაისის რკინის გზის სადგურის კასსირს მათე ალანიას, ჯერ ფული მოსთხოვა და შემდეგ ჯოხით თავში მძიმედ დასჭრა და გაიქცნენ.

◆ ვაჟების გიმნაზიაში თორმეტ ოქტომბრიდან სწავლა უკვე დაიწყო.

◆ ქუთაისის გუბერნიის ტიპოგრაფიის მუშები გაიფიცნენ და მუშაობა შესწყვიტეს, გუბერნიის სასამართლოს წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი. როგორც ამბობენ, სხვა ტიპოგრაფიის მუშებიც აპირებენ გაფიცვას.

◆ 11 ოქტომბერს მზარეულებმა და ხელზე მოსამსახურეებმა მუშაობაზე ხელი აიღეს და თავის აღებს წინადვე შემუშავებული მოთხოვნილებანი წარუდგინეს. არ ვიცი, დააკმაყოფილებენ თუ არა მოსამსახურეთა მოთხოვნილებას, ეს-კია, რომ გაფიცვამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია ქუთაისში. დიასახლისები კალათებით წავიდნენ ბაზარში და ღმერთისა და კაცისაგან დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ.

◆ ქალაქის სასწორზე უწესოება ყოველთვის ყოფილა, არის და უთუოდ შემდეგშიაც იქნება, რადგან ქალაქის გამგეობას არავითარი წესები არა აქვს შემოღებული იმის შესახებ, თუ მყიდველი ან გამყიდველი როდის არის ვალდებული გადაიხადოს სასწორის ბაჟი. დღეს ასწონით თუ არ ასწონით ამ სასწორზე რამეს, ბაჟს სასწვრის მოიჯარადრე მაინც გახდევინებს, მაგრამ გადახდაც არის და გადახდაც. როგორც მოგეხსენებათ, ქალაქის გამგეობამ ამ ერთი თვის წინად თავის საბაჟოზე საურმე სასწორი დადგა. ამ სასწორზე ამ ჟამად დიდ ძალი ყურძნით დატვირთული ურმები იწონება. პირველ შემთხვევაში მოიჯარადრე სასწვრის სასარგებლოდ ბაჟს ყურძნის მყიდველს ახდევინებს, მეორე შემთხვევაში, ე. ი. როცა უნდა გავიგოთ ცარიელ ურმის ტარა ანგარიშის გასასწორებლად, მეურმეს ახდევინებს, რაც უკანონოდ მიგვაჩნია. მეორე, მაგალითად, იყიდეთ საბაჟოდან ათი-თხუთმეტი საჟენის მოშორებით ურმით ყურძენი ნარდათ, სასწორის მოიჯარადრე აქაც მოდის და ახდევინებს ბაჟს; ამის გამო მებაჟესა და მყიდველს შორის, ხშირად გამყიდველთაგანაც დიდი უსიამოვნება ხდება ხოლმე. აი ამისათვის არის საჭირო ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

დეპუტაცია ნამესტნიკთან

—

როგორც ვწერდით, ეს დეპუტაცია ნამესტნიკს წარუდგა 11 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ. დეპუტაცია შესდგებოდა ტფ. და ქუთ. თავად-აზნაურთა მარშლების მეთაურობით, საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსულთაგან. დეპუტაციის მხრივ თავ. ვ. მიქელაძემ შემდეგის სიტყვით მიჰმართა ნამესტნიკს.

თქვენო ბრწყინვალებავ, თექვსმეტი საუკუნეა ივერიის ხალხი თაყვანსა სცემს წმინდა ჯვარს უფლისას. ბევრი, ბევრი მძიმე განსაცდელი და უბედურება გამოიარა ამ ხალხმა სარწმუნოების გულისათვის. მთელის საუკუნოების განმავლობაში ქართველობა აღმოსავლეთ ქვეყნების მპყრობელთა ულმობელ უღლის ქვეშ ჰკვნესოდა, ითმენდა სისასტიკეს, მაგრამ ივერიის ეკლესია მაინც შეურყეველი და ცხოველი იყო. ძლიერი იყო სული და უძლეველი ძალა მისი, დამყარებული მწყემსთა და სამწყსოთა შორის მტკიცე ერთობაზე. დიდებული და ქებულია წამებულთა სისხლით მორწყული ის გზა, რომელზედაც შეუდრეკლად მიჰყავდა ქართველი ხალხი და ამხნევებდა, ანუგეშებდა და უთითებდა ქრისტიანობის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების მიზნისა და იდეალებისაკენ. მაგრამ გავიდა უკანასკნელი ასი წელი, როდესაც ქართულ ეკლესიის ბედ-იღბალს განაგებდნენ რუსის ექსარხოსები და რასა ვხედავთ ეხლა? სარწმუნოება მოკლულია ქართველს ხალხში; ინდიფერენტიზმა მოიცვა ყველა ნაწილი მცხოვრებთა, რომელმაც დაიბუდა თვით ხალხის გულშიაც. ეკლესიები ცარიელია დიდს საუფლო დღესასწაულებშიაც-კი; ეკლესიები თითქმის ყოველ დღე იცარცვებიან, რაც წასულ საუკუნოებში არ ნახულა და გაგონილა. მრევლი უარს უცხადებს მღვდელს და აღარ უხდის არასფერს საეკლესიო-სამღვთო წესის შესრულებისათვის და ზოგიერთს ადგილებში სრულიადაც უარს ჰყოფს მას. საქართველოს სამღვდელოება, უკიდურეს მდგომარეობაში ჩაყენებული, წერილობით თუ დეპუტატების პირით საქართველოს ექსარხოს უცხადებს, რომ შიმშილით სიკვდილი მოელის და თუ მთავრობამ არ უზრუნველ ჰყო იგი, იძულებული იქნება უარ-ჰყოს მწყემსთ-მსახურება და დაუბრუნდეს ერის კაცობას და საერის კაცო საქმით გამონახონ თვით არსებობისათვის საჭირო საზრდო. ერთის სიტყვით საქართველოს მართმადიდებელი ეკკლესია ამ ჟამად საშინელ სულთ მობრძავის მდგომარეობაშია. ესა ხდება მაშინ, როდესაც კავკასიის სხვა ხალხს სარწმუნოებაც მტკიცედ აქვს დაცული და სამღვდელოებაც უზრუნველ-ყოფილი. რა არის მიზეზი საქართველოს ეკლესიის ასე დაცემისა? რა არის მიზეზი სარწმუნოების განქრობისა ქართველებში, იმ ქართველებში, რომელზედაც ბიზანტიის შესანიშნავი ისტორიკოსი პროკოპი კესარიისა ამბობს: „ივერიელნი ყველა ხალხებზე უკეთ ინახავენ წესს ქრისტიანობრივ სარწმუნოებისასაო“? მიზეზი ის არის, რომ ივერიის ეკლესიას წაერთვა ყოველივე ის, რითაც ცოცხალი და ძლიერი იყო იგი და რითაც სცოცხლობენ კავკასიის სხვა ერების ეკლესიები: შესწყდა სიცოცხლის ძარღვი, განჰქრა კავშირი ეკლესიასა და მის მეთაურს შორის, კავშირი, რომელიც მტკიცედ დამყარებული იყო შთამომავლობისა, ენისა, გადმოცემათა და სულიერ მშობლიურ ერთობაზე. წაერთვა თვითმმართველობა, გაუქმდა საარჩევნო წესი, რომელიც ქვა კუთხედი იყო ორგანიზაციისა. ამ ჟამად საქართველოს ეკკლესიას აღარა ჰყავს მეთაური, აღარ აქვს კანონიური ავტოკეფალია. ეხლანდელი მეთაურნი უცხონი არიან ივერიის ეკლესიისათვის; უცხონი არიან ეხლანდელნი მწყემსნიც, აღზრდილნი ხალხის წინააღმდეგ მიმართულებაში. ესენი მოკლებულნი არიან ნიჭს სიტყვიერებისას მშობლიურს ენაზე და ხალხის თვალში წარმოადგენენ მხოლოდ სასულიერო უწყების მოხელეთ. ამ გვარ პირობებში ეკლესია უნდა დაცემულიყო და აკი მართლა დაეცა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის სახსნელად საჭიროა მიეცეს თავისუფალი სიცოცხლე, დაუბრუნდეს ძველი კანონიერი მართვა-გამგეობა, სრულად დაუბრუნდეს ხალხის მიერ არჩეული კათალიკოსი სრულის უფლებითა და ვალდებულებით. ივერიის ეკლესიის გამოსაბრუნებლად სხვა გზა არ არის· ესეთი რეფორმა შესძლებს მხოლოდ შეასწოროს ასის წლის უსამართლობა და ამასთანავე ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკურს ერთობის განმტკიცებას, რადგან ეს ერთობა ისე ძლიერად არასფრით არ სუსტდება, როგორც მითი, რომ ქართველი ხალხი მოკლებულია იმ დიდს უფლებას, რომლითაც სავსებით სარგებლობენ მეზობელი ხალხები. თქვენო ბრიწყვანელებავ! განზრახული ავტონომია კავკასიის ეკლესიისა მიტროპოლიტის მეთაურობით ვერ დააკმაყოფილებს ქართველს ერს, რომელიც გულ მოკლულად მიეგება ამ ამბავს და სცნო, რომ ამ ცვლილებით მოესპობა საქართველოს ეკკლესიას მრავალსაუკუნოების არსებობის უკანასკნელი კვალიც არა, მხოლოდ საჭიროა აღდგენილ იქმნეს საქართველოში საკათალიკოსო უფლებანი და აი, ამიტომ ჩვენ, საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან შეკრებილნი, წევრი საქართველოს ეკკლესიისა, ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალებას აღმოუჩინოთ ძლიერი დახმარება იმ შუამდგომლობას, რომელიც აღძრა იმერეთის სამღვდელოებამ მისის იმპერატორებით უდიდებულესობისა და უწმ. სინოდის წინაშე, რომ აღდგენილ იქმნას ივერიის ეკკლესიის ავტოკეფალიური უფლებანი. ამორჩეულ კათალიკოსის მეთაურობით. ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ თქვენი ავტორიტეტიული და სამართლიანი გამოქომაგება შეწყნარებულ იქმნება ხელმწიფე იმპერატორის მიერ და დაუბრუნდება საქართველოს ეკკლესიას ავტოკეფალია ისე, როგორც მხოლოდ თქვენის შუამდგომლობისამებრ დაუბრუნდა სომეხთა ავტოკეფალურ ეკკლესიას მამულები და ნაციონალური საეკკლესიო სამრევლო სკოლები. განახლება საქართველოს ეკკლესიისა სხვა რეფორმებთან ერთად, რომელთაც მოუთმენლად მოელის ხალხი, ჩვენს ქვეყანას წაიყვანს იმ მშვიდობიანობისაკენ“.

პეტიციის წაკითხვის შემდეგ ნამესტნიკმა სთქვა, რომ ეს საკითხი არ შედის ჩემს კომპეტენციაში, ამასთან ქართველი ხალხი რუსის ხალხთან ერთად აღიარებს მართლმადიდებელ სარწმუნოებას და აქვს ერთი მართლმადიდებელი ეკკლესია, ამიტომ ვერა ვხედავ, რა სარგებლობა მოჰყვება საქართველოს ეკლესიის ჩამოშორებას. რაც შეეხება ავტოკეფალიას, რამდენადაც ვიცი, საქართველოში ორი კათალიკოსი იყოო, იმერეთისა და ქართლ-კახეთისა. აქედან სჩანს, რომ საქართველოს ეკკლესიას ერთი მეთაური არა ჰყოლია. საკითხი ადგილობრივ ეკკლესიის მართვა-გამგეობის შესახებ გადასწყდება ახლო მომავალშიო.

დეპუტაციამ უპასუხა, შეიძლება ეს საქმე თქვენს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ თქვენი ჩარევა კეთილს გავლენას იქონიებს. საქართველოს ეკლესია ყოველთვის ავტოკეფალური იყო და ეხლაც რომ ავტოკეფალია მიეცეს, რუსეთს არაფერი ვნება არ მოუვა, პირიქით უფრო განამტკიცებს ერთობას, რადგან ეხლა მხოლოდ მექანიკური კავშირია. საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი წევრი იყო მსოფლიო კრებათა და საჭიროა, შერჩეს ეს დამოუკიდებლობაო.

დასასრულ დეპუტაციამ განმეორებით სთხოვა ნამესტნიკს მხარი დაუჭიროს სამღვდელოების მიერ აღძრულ შუამდგომლობას.

სასამართლო

I

ყუმბარების სროლა ტფილისში 25 სექტემბერს.

გუშინ, 23 ოქტომბერს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო გასარჩევად საქმე ავაქ ბუდაღის ძის არუშანოვისა. არუშანოვს ჰბრალდები 25 სექტემბერს ორთაჭალაში ყუმბარების გასროლა, რომლითაც რამდენიმე ყაზახი და გარეშე კაცი დაიჭრა. ნამესტნიკის ბრძანებით, ეს საქმე ირჩევა საომარ დროის წესით. ამას გარდა განკარგულებაა სასამართლოს გადაწყვეტილება არ განსაჩივრდეს, არამედ აღსრულებაში იქმნას მოყვანილი ოცდა-ოთხი საათის განმავლობაში. სრულ ათ საათზე შეიყვანეს სასამართლოს დარბაზში არუშანოვი. გამოვიდნენ მოსამართლენი ოთხი კაცი. თავმჯდომარედ იყო სამხედრო მსაჯული გენერალ-მაიორი შმერლინგი. ბრალსა სდებდა ბრალმდებელი პოლკოვნიკი სემაშკო, დამნაშავეს იცავდა კაპიტანი თავადი ვეზირიშვილი.

დაბარებული იყო ოცდა-ხუთი მოწმე, მათ შორის ტფილისის პოლიცმეისტერი ცისსი, თორმეტი ყაზახი, რამდენიმე სალდათი და სხვანი. ყაზახებიბიდან ხუთი კაცი არ გამოცხადდა იმ მიზეზით, რომ ეს ყაზახები გორის მაზრაში ყოფილან გაგზავნილი ხალხის მოძრაობის დასამშვიდებლად. არ გამოცხადდა აგრეთვე ეფრეიტორი ვაშაკიძე, რადგან იგი ყუმბარით მძიმედ ყოფილა დაჭრილი და ნათლულის სამხედრო სამკურნალოში წევს. ბრალმდებელმა გამოაცხადა: რადგან ზემო-ხსენებული მოწმენი არ გამოცხადნენ, საქმის გარჩევა არ შეიძლებაო. ბრალმდებლის წინადადებას მხარი მისცა ვექილმა თავ. ვეზირიშვილმა, და სასამართლომ საქმის გარჩევა ამ თვის 17-ვის გადასდო.

II

დავით სუკიასოვის საქმე

ამ დღეებში კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლომ განიხილა დავით სუქიასოვის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ ქალაქ ბათუმში უბნის ზედამხედველს პეტრე ივანეს ძე ნაცალს მოსაკლავად რევოლვერი ესროლა, მაგრამ განზრახვა შემთხვევით სისრულეში ვერ მოიყვანა. ამ საქმის გარჩევის დღეს სასამართლოში თავმჯდომარეობდა ვიტკოვსკი, ბრალსა სდებდა სილაშკო, იცავდა ბრალდებულს პორუჩიკი ფომინი. სასამართლოში ნაცალი არ გამოცხადებულა. სასამართლომ დაადგინა, წაეკითხა იმისი ჩვენება, რომელიც გამომძიებელმა ჩამოართვა, და საქმის განხილვას შეუდგა. სასამართლომ დაადგინა, სუქიასოვი დამნაშავედ იქმნას ცნობილი და ჩამოხრჩობით დაისაჯოსო.

ამ განაჩენზე სუქიასოვმა უკვე საკასსაციო საჩივარი შეიტანა მთავარ სამხედრო სასამართლოში.

დიმიტრი ჯანაშვილი

—

როგორც უკვე იციან მკითხველებმა, 6 ოქტომბერს გადაიცვალა მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი. განსვენებული საინგილოდან იყო, იგი პირველი ინგილო იყო, რომელმაც სწავლა მიიღო (სემინარიასა და აკადემიაში) და საინგილო გააცნო ქართველობას. ინგილოთა შესახებ მღვდ. ჯანაშვილი სწერდა „დროება“-სა, „კრებულ“-სა, „მნათობ“-ში და სხვაგან. ამასთან პირველმა მან დაიწყო საისტორიო წერილების ბეჭდვა ადვილ გასაგებ ენით და ამ წერილებით არა ერთს ქართველს გაუღვიძა ხალისი სამშობლო ქვეყნის წარსულის შესწავლისა. ამ წერილებს იგი ბეჭდავდა ჟურნ „ივერია“-ში, აგრეთვე „დროებასა“ და სხვა გამოცემებში. განსვენებულს დიდი გავლენა ჰქონდა ინგილოებზე და მთელი თაობაც გამოზარდა. ყმაწვილობაში დ. ჯანაშვილმა, როგორც ღარიბი კაცის შვილმა, მრავალი გაჭირება და ვაივაგლახი გამოსცადა. საინგილოდან ტფილისამდე 227 ვერსია და ამ მანძილს ხშირად ფეხით გაივლიდა ხოლმე, ოღონდ სწავლას არ დაჰკლებოდა აქაურს სემინარიაში. მაშინ ამ სემინარიაშიაც ბევრი უწესოება და უსამართლობა სუფევდა, და ეს უწესოება-უსამართლობა იყო მიზეზი, რომ მოსწავლე ჯანაშვილმა თავი გამოიდო და გალახა მაშინდელი რექტორი ვიქტორიანი. იმდენად მართალი იყო ჯანაშვილი. რომ მთავრობამ მოსწავლე ვერ დაითხოვა სასწავლებლიდან თვით რექტორის გალახვისთვისაც!

დიმიტრი 63 წლისა იყო. გარდაიცვალა სოფ. ბოდბეში, საიდანაც საინგილოს საზოგადოებამ სოფელ კახს წაასვენა და იქ დაასაფლავა.

რუსეთი

ტუსაღის გაპარვა. სექტემბერს ჰელსინგფორსის საპატიმროდან გაქცეულა ლეონარდ ხოხენტალი, სენატის პროკურორის იონსონას მკვლელი. ხოხენტალს ორ ალაგას გადაუქლიბავს სატუსაღოს რკინის დიდი ხარიხა და ისე გამოსულა. ხოხენტანლს წინადღით სასამართლომ სამუდამოდ დატუსაღება გადაუწყვიტა. ამ ამბავმა მთელი რუსეთი აალაპარაკა. (რ. ს.).

შვიდი ყუთი ასაფეთქებელი ნივთიერება და სამი ყუთი რევოლვერები და პატრონები უპოვნიათ ჟანდარმებს ფინლიანდიაში. (ოდ. ნ.).

არაფერი დაზოგოს და მიუხედავათ იმისა, რომ იგი დემოკრატიული ქვეყანაა, თავის პატრიოტულ გრძნობის სიღრმეში და სიძლიერეში ექვს არავის შეატანინებს“.

კანადის პირველი მინისტრი ფრანგი იყო ჩამომავლობით და ისიც-კი შემდეგს ამბობდა: „მეტროპოლიის დასახმარებლად კანადამ ნებაყოფლობით გაჰგზავნა თავისი შვილები. ძალის დატანება რომ ვისმეს მოენდომნა, ვერავინ ვერ შესძლებდა ამას. დიდ ბრიტანიას, მიუხედავათ თავის სიძლიერისა, არც ძალა და არც უფლება ჰქონდა იმისი, რომ ძალდატანებით ან ერთი გროში გაეტანა კანადიდან, ან ერთი ჯარის კაცი მაინც გაეყვანა. ინგლისი იქამდის ძლიერია, რომ თითონაც ჩინებულად გაუძლვებოდა ამ ომსა, მაგრამ კანადამ მთელი ქვეყნის გაკვირვება მოინდომა, და თავის ერთგულობითა და მეტროპოლიის სიყვარულით მთელი ქვეყანა განცვიფრებაში მიიყვანა“.

ამგვარი დამოკიდებულობა მხოლოდ იმ სახელმწიფოშია შესაძლებელი, სადაც მთავრობის მისწრაფებისა და სურვილს ქვეშევრდომთა უუფლებობა და გათახსირება არ შეადგენს. ამ რამდენიმე თვის წინად იაპონიასთან ბრძოლით რომ დაუძლურდა და შერცხვა რუსეთი, თვით მკიდრმა რუსებმაც კი არ დაინდეს იგი და უმეტესობა სამშობლოს დამარცხებასა ნატრულობდა რამდენიმე ისტორიკოსმა მეცნიერულადაც კი დაამტკიცა, რომ თუ იხსნის რამე რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას და რუსეთს ახალ ღონესა და ძალას ჩაჰბერავს, ამას მხოლოდ მისი დამარცხება შესძლებს და სხვა კი არაფერიო. გლეხების განთავისუფლება რუსეთში სწორედ მაშინ გახდა შესაძლებელი, როცა ზარბაზნით მინგრეულ-მონგრეული ქალაქები და სასტიკად დამარცხებულ ჯარის მეტი აღარა მოეპოებოდა რა მთავრობას. ომი წინანდელ გამეფებული რეჟიმის გამოცდაა, თუ რეჟიმი არ ვარგოდა, მთავრობის გაკოტრებას, რასაკვირველია, ვეღარა გააჩერებს რა და თუ ქვეშევრდომნიც არა ჰყავდა მადრიელი, მაშინ ხომ მისი დღენიც დათვლილია. ინგლისის მთავრობას რომ ყაზახების მათრახისა, ხმლისა და თოფების მეტი არა მიეცა რა ახალშენებისთვის, განა ტრანსვაალის ბრძოლის დროს რომელიმე მათგანი დახმარებას აღმოუჩენდა? ამ შემთხვევაში იგი იგავის იმ მგელს დაემსგავსებოდა, რომელმაც გაჭირების დროს თავი ვერსად შეაფარა და მხსნელი ვერ იშოვნა, რადგან ყველა უმადური და რაიმე საქციელით შეწუხებული ჰყავდა. რუსეთის ბიუროკრატიას ჯერ კიდევ შეუძლიან ბატონობა და თარეშობა, რადგანაც საამისო ძალა მოსდევს. მას შეუძლიან ყოველ მოქალაქეს თითო ჯარის კაცი და თავისებური აღმზრდელი მიუყენოს, მაგრამ რას იზამს მაშინ, როდესაც თვით ჯარის კაცსაც დასჭირდება ყარაული და თვალის მადევნებელი? ინგლისის მთავრობას სინიდისი სუფთა და შეუბღალავი ჰქონდა და აკი იმიტომ ფრანგი კანადელიც არას იშურებდა და ფულით თუ ხალხით ომში ჩათრეულ მეტროპოლიას დახმარებას უწევდა. ამ გვარ ფედერაციას ვერავითარი კანონმდებლობა, დადგენილება და კონფერენცია ვერ შეჰქმნიდა, თუ საამისო ნიადაგს თვით ინგლისი არ მოამზადებდა და ადამიანური მოპყრობით ქვეშევრდომთა გულსა და სულს არ მოიგებდა.

—

ყველა ეს ძალიან კარგია, მაგრამ ტრანსვალის და ორანჟეს რესპუბლიკას რაღას ერჩოდა ეს მეტად განათლებული და ჰუმანიური ქვეყანაო, დაგვეკითხება მკითხველი. ტრანსვალსა და ორანჟეს რესპუბლიკას მართალია ინგლისი ეომებოდა, მაგრამ ინგლისს კი არასოდეს არ სდომებია ამ ომის დაწყება. როგორც უმეტესობამ ჩინებულად იცის, ომის დამწყები და აურ-ზაურის ამტეხი სესილ როდსი იყო, რომელიც როგორც კაპის პირველი მინისტრი და მაშასადამე, უმეტესობის წარმომადგენელი, მისივე აზრის გამომხატველი იყო. როდსი სამხრეთ აფრიკის ახალშენის ფედერაციით იყო გატაცებული, რადგან ფედერაციისაგან ყოველ ახალშენისთვის დიდ სარგებლობას მოელოდა. სამხრეთ აფრიკის ახალშენთა ფედერაცია სრულიადაც არ მოითხოვდა რომელიმე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღგვასა ან ცოტათ მაინც შევიწროებას. 1894 წელს როდსმა სთქვა კაპშტადში:: „მე მშვენივრად მესმის რესპუბლიკანელის გრძნობა, როდესაც სამშობლოს დამოუკიდებლობა თითონ შეჰქნა და თითონ ააგო მისი კეთილდღეობა. მაგრამ მე მგონია შესაძლებელია ისე მოეწყოს საქმე, რომ მეზობელმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა სრულიად შეინარჩუნოს და ზოგიერთ კითხვებში კი, როგორც, მაგალითად, რკინის გზისა, სადამოჟნო, ფულისა და სხვა საქმეებია, მეზობლებთან თანახმად იმოქმედოს“ საფედერაციო კითხვა რომ საჭირ-ბოროტოა აფრიკისთვის, ეს ყველასთვის, ვინც-კი დაჰკვირვებია აქაურ პოლიტიკას, ცხადზედ უცხადესი უნდა იყოს. ახალგაზდა ახალშენებისთვის, რომლებმაც დიდი ხანი არ არის, რაც სრული დამოუკიდებლობა მიიღეს (კაპის ახალშენმა კონსტიტუცია 1872 წელს მიიღო, ნატალმა 1893 წელს და როდეზიამ 1898 წ.) მათ კულტურულ განვითარებისა და მრეწველობის აღორძინებისთვის პატარა მიზეზიც დიდათ შემაფერხებელია. შეთანხმებულ მოქმედებით სარგებლობა ბევრსა ჰქონდა შეგნებული და რასაც უფრო მეტს იზრდებოდნენ ახალშენები და ფართოვდებოდა მათი მოქმედების ასპარეზი, ფედერაციის საჭიროება მეტად აშკარად ხდებოდა ყველასთვის. ახალშენთა საფედერაციო კითხვა იქამდის მომწიფდა, რომ კაპის ახალშენმა, ორანჟეს რესპუბლიკამ, ბაზუტოლენდმა და როდეზიამ სადამოჟნო კავშირი შეადგინეს კიდეც, რომელსაც მხოლოდ ნატალი და ტრანსვაალი არ მიემხრნენ. ტრანსვალს, რასაკვირველია, თავისი მიზეზები ჰქონდა, რომ ამ კავშირს ერიდებოდა და საერთო ფედერაციის საქმეს აფერხებდა, მაგრამ ყველაზედ ძლიერი მიზეზი-კი ის იყო, რომ ტრანსვაალი თავის დამოუკიდებლობას, როგორც თვალის გუგას, ისე უფრთხილდებოდა და ეშინოდა ფედერაციის სახელით ცალიერზედ არავის დაესვა იგი. 1894 წელს უიტლენდერებმა (უცხოელებმა), რომ ცამეტი ათას კაცის ხელ-მოწერილი პეტიცია წარადგინეს, რომლითაც მკვიდრ მცხოვრებლებთან თანასწორობის და ენების სწავლის საქმის ერთნაირ პირობებში ჩაყენებას თხოულობდნენ, ტრანსვალის მთავრობა მეტად უკმეხლათ მიეგება დელეგატებს და თითქმის მტრებათაც-კი დასახა. მეორე წელიწადს იმავე მოთხოვნილებით მეორე პეტიცია წარუდგინეს უიტლენდერებმა, მხოლოდ ეხლა-კი ოცდა-თვრამეტ ათას კაცს ეწერა მაზედ ხელი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველა ის, რასაც ინგლისელები თხოულობდნენ ტრანსვალში დანარჩენ ახალშენებს ყველასა აქვთ, ჩვენთვის ცხადი შეიქნება, რომ ინგლისს სრულიადაც არა სურდა დამოუკიდებლობის არა თუ წართმევა, შეზღუდვაც-კი. ტრანსვაალი-კი ჯიუტობდა და ინგლისთან შეერთების შიშით ყოველგვარ რეფორმას ერიდებოდა. ამ ჯიუტობითა და თავისებურ პოლიტიკით ტრანსვაალმა შინაც და გარედაც ბევრნი მოიმდურა და მეტროპოლიის მთავრობის თვალწინ ამ უკმაყოფილების გამომხატველი სესილ როდსი შეიქნა. რა ინტერესებს ემსახურებოდა როდსი და რა მიმართულებისა იყო, ეს არც იცოდა მეტროპოლიის მთავრობამ და არც უნდოდა, რომ გაეგო. საკმარისი იყო, რომ როდსი, როგორც პირველი მინისტრი უმეტესობის სურვილების გამომხატველი იყო. როდსის ზურგს უკან მეტროპოლიის მთავრობას ინგლისელებისა და ჰოლანდიელების უმეტესობა ეგულებოდა. თუ არ ვარგოდა მისი პოლიტიკა და ცრუ ნიადაგზედ იყო აგებული, ეს ადგილობრივი პარლამენტისა და უმეტესობის საქმეა და არა ინგლისისა, რომელსაც მხოლოდ ამ უმეტესობის სურვილის ასრულება სურს და მეტი არაფერი. ასე ჰფიქრობდა ჩემბერლენი ომის გამოცხადების დროს და კონსტიტუციას შეჩვეულს სხვაფრივ ფიქრი არც-კი შეეძლო.

ი. პ—ვი.

ცნობილის გენერალის კუროპატკინის სახლობა ცხოვრობს კამენოოსტროვსკის პროსპექტზე, სადაც სამხედრო უწყებას საგანგებოდ იმისთვის დაუქირავებია სახლი წელიწადში 10,000 მანეთად. ეს სახლის ქირა არ ერიცხება თურმე ჯამაგირიდან კუროპატკინს, რომელსაც წელიწადში 120,000 მანეთი ეძლევა. (ვ. ნ.).

სტუდენტთა საბჭოს წევრთა დაჭერა. ამ დღეებში დაუჭერიათ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა შეერთებულ საბჭოს წევრთა ერთი ნაწილი. ამასთან უპოვნიათ ამ საბჭოს ორი საიდუმლო სტამბა. (კ. ნ.).

პოლიციის ბოქაულის მოკვლა. კიშინევში 27სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, მოუკლავთ ქუჩაში პოლიციის ბოქაული ოსოვსკი; მკვლელები მიმალულან, რადგან წვიმის გამო ქუჩაში არავინა ყოფილა. (რ. ს.).

აგრარულ მოძრაობის საქმეების განხილვა. დვინსკში პეტერბურგის სამოსამართლო პალატის სესსია შესდგომია დვინსკის მაზრაში თებერვალს მომხდარ აგრარულ მოძრაობა-უწესოებათა საქმეების განხილვას. პირველად გაირჩევა სივერგოვტიზენპოლდის მამულის აკლების საქმე. ბრალი ედება 79 გლეხს. (რ. ვ.).

დემონსტრაციაში მონაწილეთა დაპატიმრება. 8 აგვისტოს ოსტროვეცში მოხდა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. მონაწილენი გუბერნატორის განკარგულებით დაუპატიმრებიათ: 3 თვით—13 მუშა, 2 თვით—12, 1 თვით—28, 10 დღე-ღამით—25 და 1 კვირით—4 მუშა. (რ. ვ.).

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულობა. როგორც ერთი ინგლისური გაზეთი სწერს, რუსეთსა და ავსტრია-გერმანიას ჯერ კიდევ 1 თებერვალს დაუდვიათ ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, თუ ვინიცობაა რუსეთის პოლონეთში ამბოხება მოხდა, ავსტრიამ და გერმანიამ უნდა მიაშველონ არა ნაკლებ ორის დივიზიისა, ეს ხელშეკრულება, როგორც ამბობენ, გერმანიის ინიციატივით ყოფილა დადებული. („რ. ვ.").

ახალი სასწავლო კანონი. ამ ჟამად სახალხო განათლების სამინისტროში სდგება თურმე განსაკუთრებული კომისია მინისტრის ამხანაგის ს. ლუკიანოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კანონ-პროექტი უმაღლეს, საშუალო და დაბალ სასწავლებელთა შესახებ. ეს კანონ-პროექტი სახელმწიფო სათათბიროს წარედგინება დასამტკიცებლად. („ბ, გ.").

სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა 30 სექტემბრის რეზოლიუცია წარუდგინეს პროფესორებს ავტონომიის შემოღების შესახებ აკადემიაში, მაგრამ რადგან დღემდის ამ რეზოლიუციის შესახებ არავის ხმა არ ამოუღია და პასუხი არ გაუცია სტუდენტებისთვის, ამიტომ იმათ განმეორებითი ყრილობა გაუმართავთ 3 ოქტომბერს და გადაუწყვეტიათ სწავლას იმ დრომდი არ შევუდგებით, ვიდრე პროფესორთა საბჭოს პასუხს არ მივიღებთო. („რ. ვ.").

მუშათა არეულობა. 1 ოქტომბერს ვარშავაში მუშების არეულობა მომხდარა ერთ დიდ სართველ ქარხანაში. გადაუგდიათ ყუმბარა, რომელსაც მებაღე და მზარეული ქალი მოუკლავს. დასამშვიდებლად გამოწვეულ საერობო დარაჯებს 12 შეიარაღებული კაცი დახვედრია და ორი დარაჯი იქვე დაუწვენიათ და სამი სასიკვდილოდ დაუჭრიათ.

მსგავსივე არეულობა ვინდავაშიაც ყოფილა. რამდენიმე კაცი დაუჭერიათ, მაგრამ არეულობა მაინც არ დამცხრალა. სახელმწიფო სასმელების დუქანთან ერთი კაცი უნახავთ, რევოლვერით მოკლული. (რ. ს.).

ნაფიც ვექილის კუპერნიკის დასაფლავების დროს კიევში რამდენიმე ათას კაცს მოუყრია თავი გარდაცვალებულის სადგომთან; ბლომად ყოფილა მოსწავლე ახალგაზდობაც. ამ აუარებელ ხალხში ბევრს „მარსელიეზა" და სხვა სარევოლიუციო ხმები უმღერია. სასაფლაოსთან წინდაწინვე შეუყრიათ ყაზახები, ჟანდარმები, სალდათები და პოლიციელები. დაკრძალვის შემდეგ ხალხი გამობრუნებულა სიმღერით. პოლიცმეისტერს წინადადება მიუცია, გაჩუმებულიყვნენ, მაგრამ ხალხს თავისი არ დაუშლია. მაშინ პოლიცმეისტერს უბრძანებია პოლიციისათვის გზის შეკვრა, მაგრამ ხალხს სროლა დაუწყია. ამას, რასაკვირველია, ჩოჩქოლი და არეულობა მოჰყოლია და ბევრნი აქეთ-იქით გაფანტულან. მოუკლავთ ერთი 20 წლის ებრაელი ქალი. პოლიციელთაგან არავინ დაშავებულა (რ. ს.)

სალდათის ჩამოხრჩობა. ფილენსკის პოლკის სალდათი მოჩიდლოვერი პოლკოვნიკის ჰერციკის მოკვლის განზრახვისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით 6 ოქტომბერს განთიადისას ჩამოუხრჩვიათ ფეოდოსიაში. (რ. ს.).

სხვისი და თავის თავის მკვლელი. რადომში 25 სექტემბერს ქუჩაში შიმავალ აფიცრისათვის გიმნაზიის ერთ მოწაფეს ყუმბარა ესროლია, მაგრამ არ გამსქდარა. იმ ალაგას მისაშველებლად მისულა საერობო დარაჯი კანდუროვი, მაგრამ მოსწავლე წამოსწევია, ჯერ ის მოუკლავს რევოლვერით და მერე თვითონაც ყელი გამოუჭრია. („რ. ს".).

პატრონების პოვნა და ყუმბარების სროლა. ქალაქ ლომჟას მახლობლად პოლიციას დაუჭერია ვარშავაში მიმავალი ტრანსპორტი სამარის პატრონებით. დაუჭერიათ სამი მეეტლე ებრაელი.

ნეჟინში 23 სექტემბერს პოლიციაში გადაუგდიათ ყუმბარა და ერთი პოლიციელი მოუკლავთ, მეორე მძიმედ დაუჭრიათ.

(„რ. ს-").

წ ე რ ი ლ ე ბ ი.

თელავი. რადგან თელავის მაზრის საბჭოს ოქმები ერობის შემოღების შესახებ ჯერ კიდევ არა ყოფილა წარდგენილი, სადაც ჯერ არს, ამიტომ მაზრის უფროსს გუბერნატორის მოწერილობის თანახმად, უთხოვნია საბჭოს თავმჯდომარის თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილისათვის ოქმების გადაცემა გუბერნატორთან წარსადგენად. ამის გამო მარშალმა მოიწვია წარმომადგენელნი თელავში 5 ღვინობისთვეს, რადგან ოქმები რუსულად გადათარგმნილ-გადაწერილი არ არის და ამას კი მარტო ჩემ თავზე ვერ მივიღებო.

კრება მოხდა სამხედრო საკრებულოს დარბაზში. გამოცხადდა 30 წარმომადგენელი. თავმჯდომარეობდა მაზრის მარშალი ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. ოქმების შესახებ მოხსენების შემდეგ კრებამ მოისმინა ის წერილი, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „ნოვ. ობოზ."-ს 203 ნომერში. კორესპონდენტი სწერს, რომ წარმომადგენელნი შემოერტყნენ ჯერ თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილის სახლს და რაკი იგი შინ არ დაუხვდათ, გაემართნენ თ. მ. ზ. ჭავჭავაძის სახლისაკენ, მოსთხოვეს მარშლის ადგილის დაჭერა, კრების გახსნა და სხვ. ამ წერილის ავტორი თავიდან ბოლომდე სიცრუეს სწერს. სხვათა შორის, ასეთ ტყუილსაც სწერდა, რომ საბჭოს მდივანმა ბ. ყაზახაშვილმა განაცხადა: „მე, როგორც მდივანმა, ვსთხოვე თავ. ჩოლოყაშვილს ოქმები, მაგრამ უარი გამომიცხადა და მითხრა, ოქმებს გუბერნატორთან ვგზავნიო" და სხვ. ამ წერილის შინაარსმა მეტად აღელვა წარმომადგენელნი. კრებამ წერილი თავიდან ბოლომდე სიმართლეს მოკლებულად სცნო და ერთხმად დაადგინა: გამოეცხადოს კრების მხრივ უკმაყოფილება იმ პირს, რომელმაც ეს წერილი დასწერა, ეთხოვოს „ნოვოე ობოზრენიე"-ს რედაქციას ამ პირის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაევალოს საბჭოს თავმჯდომარეს თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილს პასუხის გებაში მისცეს „ნოვოე ობოზრენიე"-ს რედაქტორი და ეს წერილი დაიბეჭდოს ამ გაზეთის ერთ-ერთ მახლობელ ნომერში".

ბოლოს საბჭოს ყოფილმა მდივანმა ბ-ნმა ყაზახაშვილმა წაიკითხა ოქმები, კრებამ ცოტაოდენის ბაასის შემდეგ დაამტკიცა და დაავალა მასვე რუსულად გადათარგმნა· ხოლო ოქმების შესამოწმებლად აარჩია სამი კაცი: ივ. კოლელიშვილი, კ. ყაზახიშვილი და მ. ქლენტი. **დიმიტრაშვილი.**

დ ე პ ე შ ა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

13 ოქტომბერი·

პეტერბურგი. სტუდენტებმა პირველ არჩევნებზე გაიყვანეს კოალიციურ საბჭოს ორგანიზაციების კანდიდატები; მოწინააღმდეგე—აკადემისტები სრულიად დამარცხდნენ.

პეტერბურ. უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა 11 ოქტომბერს, მიიღოს უნივერსიტეტში თავისუფალ ყურის მგდებლებად ქალები, ფორმის ტარება არ იყოს სავალდებულო, მიიღოს უნივერსიტეტში ყველა ქალები, ვისაც საშუალო განათლება მიუღია, განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. უნივერსიტეტის ახალ წესდებაში სულ გაუქმებულია სახელმწიფო ეგზამენები. განზრახულია გამოსაშვები ეგზამენები ფაკულტეტებზე.

გრაფ ვიტეტემ უთხრა რკინის გზების მოსამსახურეების დეპუტაციას, რომ თვითონ იგი მომხრეა ძლიერ ფართო თავისუფლებისა, წინააღმდეგია სამხედრო წესებისა და ყოველგვარ სისხლის ღვრისა რეპრესიების საშუალებით; მან გადაჭრით განაცხადა, რომ ჩქარა გამოცხადდება კრებისა და პრესსის თავისუფლება და რკინის გზებს მოეხსნება სამხედრო წესებიო. მაგრამ გრაფს შეუძლებლად მიაჩნია დამფუძნებელ კრების განხორციელება და, იმოწმებს რა პროფესსორ მ. კოვალევსკის, გადაჭრით უარ-ჰყოფს საყოველთაო საარჩევნო უფლების სარგებლობას.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

12 ოქტომბერი.

ყაზანი, 12 ოქტომბერი. სასულიერო აკადემიაში საბჭოს განცხადებაა გაკრული, რომლითაც იგი იწვევს სტუდენტებს სამეცადინოდ. ვინც 13 ოქტომბერს არ განაახლებს მეცადინეობას, გაგდებულ იქნება აკადემიიდანო.— სტუდენტების მიერ წარდგენილ მოთხოვნებზე სჯა-ბაასის გამართვის ნებას საბჭო არ აძლევს თავის თავს.

ვენა. „ნეიე-ფრეიე-პრესსე" ოფიციოზურ შენიშვნაში უარს-ჰყოფს ოსმალეთის წინააღმდეგ ზღვაზე დემონსტრაციის გამართვის აუცილებლობას და ამბობს, ელჩებს განზრახვა აქვთ ამ კვირაში საერთო აუდიენციის ნება მიიღონო. იგინი ცდილობენ გერმანიის წარმომადგენელიც გადიბირონ, რის შემდეგ გაიმართება დემონსტრაცია სალონიკს ანა და სმირნასთან.

ყაზანი, 12 ოქტომბერი. რეალურ სასწავლებლის საბჭო აცხადებს, სასწავლებელი დაიხურა ხელ-ახალ განცხადებამდეო.

ვარშავა. გაფიცულ მუშების განზრახვა ქურდების თვით-გასამართლების შესახებ ვერ იქნა მოყვანილი სისრულეში პოლიციის მიერ მიღებულ ზომების წყალობით. ყველგან პატრულები და ყარაულები დააყენეს. მოჰკლეს მხოლოდ ერთი ქურდი, დასჭრეს მეორე და მისი ხასა. ზდუნსკაია ვოლიაში მოჰკლეს საერობო დარაჯი.

პეტერბურგი, 12 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს გრაფ ვიტტემ მიიღო რკინის გზის მოსამსახურეთა დეპუტაცია. გრაფმა დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი გაფიცვების შესახებ და განაცხადა, ოფიციალურად მონაწილეობის მიღება ამ საკითხში მხოლოდ მაშინ შემიძლიან, როცა ამ საქმეს გზათა მინისტრი წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს ან საგანგებო რჩევასო. პირადათ გრაფი შემდეგის აზრისა არის: რკინის გზებზე მომუშავე-მოსამსახურეების მოთხოვნები არა მარტო ეკონომიურია, არამედ პოლიტიკურიც. და მათ გადაწყვეტას ერთი და ორი წელი არ ეყოფა. ის მოთხოვნები, რომლების გადაჭრა ახლავე შეიძლება, გვერდში უზის იმისთანებს, რომელთა გადაწყვეტა ძრიელ რთული საქმეა. ახლა არაა იმის დრო, ვეძიოთ, ვინ არის ყველაფერში დამნაშავე. აშკარაა მხოლოდ, რომ რკინის გზების გაფიცვა ისეთი დიდი საქმეა, რომ მას არ შეუძლია შეუმჩნევლად ჩაიაროს. მოსამსახურეების ზოგიერთი მოთხოვნა შეიძლება ეხლავე იქნეს დაკმაყოფილებული. გრაფი შეჩერდა მხოლოდ ეკონომიურ მოთხოვნებზე, მაგრამ განაცხადა, რომ, მისის აზრით, საყოველთაო ხმის მიცემის შემოღება ძნელად თუ მოიტანდა საზოგადოს სიკეთეს, რასაც სხვა სახელმწიფოების გამოცდილება გვიმტკიცებსო. პოლიტიკურ მოთხოვნებში კრებისა და პრესის თავისუფლება, როგორც დროებითი ზომა, ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული; საბოლოოდ კი სახელმწიფო სათათბირო გადასწყვეტს ამ საკითხს. რაც რკინის გზების მოსამსახურეების მოთხოვნების ასრულებას შეეხება, მათი დაკმაყოფილება რამდენიმე ათ მილიონ ახალ ხარჯს გამოიწვევსო.

პეტერბურგი, 12 ოქტომბერი. დაიხურა შემდეგი სასწავლებლები: კურსკში—რეალური სასწავლებელი, სუმაში—ვაჟების გიმნაზია, ვიაზმაში ვაჟებისა და ქალების გიმნაზიები და ტულაში სასულიერო სემინარია.

სუმი, 13 ოქტომბერი. ხარკოვთან ტელეგრაფით მიწერ-მოწერა შესწყდა.

ვენა, 12 ოქტომბერი. „ნეიე-ფრეიე-პრესსე"-ს აზრით ოსმალეთი დაუთმობს სახელმწიფოებს მაკედონიის საკითხში. გაზეთის აზრით, საფინანსო კონტროლი მაკედონიაში სასარგებლო იქნება თვით ოსმალეთისათვის, როგორც სხვა აწ განსორციელებული რეფორმები. ძლიერ სამწუხაროა, რომ ოსმალეთი ასე ჯიუტობს, არ უჯერებს ევროპას, რომ ამგვარი გაუმჯობესებით გზით შეინარჩუნოს ის, რაც მას ხელში აქვს და განამტკიცოს მშვიდობიანობა ევროპაში. ძლიერ სცდება პორტა, როცა ის უჯერებს ცუდ მრჩეველთ და ფიქრობს, რომ იმ წუთას, როცა მის წინააღმდეგ საჭირო იქნება ენერგიულ ზომების მიღება, ევროპას ძალა უღალატებს უთანხმოების წყალობითო. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ სულთანი უარს იტყვის თავის ჯიუტობაზე.

პეტერბურგი, 12 ოქტომბერი. მუშაობა შეწყდა მოსკოვ-ვინდავა-რიბინსკისა და რიაზან-ურალსკის გზების სამმართველოში.

აღარ მუშაობს არც ერთი მოსამსახურე ვარშავის ვაგზლისა.

ვინდავა. გენ.-გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, ვინც თავის ნებით გააჩერებს რკინის გზაზე მუშაობას თავს, 3 თვით იქნება დაპატიმრებული ან 3 ათასი მან. გადახდება ჯარიმადო.

ეკატერინოსლავი, 12 ოქტომბერი. მაღაზიები დახურულია. ფოსტასა და ტელეგრაფს ყარაულები იცავენ. რამდენჯერმე შეეცადნენ მათ დანგრევას. ქალაქი ბნელაშია გახვეული, ქუჩებში არავინ არ ჭაჭანებს. დადიან მხოლოდ პატრულები და ყაზახ-რუსები. ვოკზალი დაკეტილია. ხელ-ახლა გააფუჭეს რკინის გზის ტელეგრაფი და ტელეფონი. გაფიცულები ტელეფონის გაფუჭებას ცდილობენ, ემუქრებიან ტელეგრაფისტებს. ესროლეს დეპეშების დამტარებელს.

კიევი, 12 ოქტომბერი. სამხრეთ-დასავლეთის გზებზე ჯერ არ შეწყვეტილა მიმოსვლა. პოლტავის გზა აღარ მუშაობს. გაფიცულების აღმასრულებელი კომისია ითხოვს, მოხსნან სამხედრო წესები რკინის გზას, შემოიღონ 8 საათის მუშაობა ყველა სახელოსნოებში, გაუქმდეს საპენსიო კასსა, დაუბრუნდეს კასსაში შეტანილი ფული შემტანელთ, შემოღებულ იქნას სავალდებულო დაზღვევა საქმის მოთავეთა ხარჯზე ყველა მოსამსახურეებისა, ხელოსნებისა და მუშებისა და დაუყოვნებლივ იქნან უკან მიღებული პირველ გაფიცვის დროს დათხოვნილები. ამასთანავე განაცხადეს, რომ ყოველ ღონისძიებას იხმარენ გაფიცულები, თვითეულ ამხანაგის პიროვნების ხელუხლებლობის დასაცველად. მხოლოდ მაშინ შესწყდება გაფიცვა, როცა ამაზე თანხმობას განაცხადებენ ყველა გზებით.

სარატოვი, 12 ოქტომბერი. მოვიდა სამი მატარებელი, რომლებშიაც მხოლოდ გაფიცულების დელეგატები სხდნენ. დამით და დილით დანარჩენ დელეგატებსაც მოელიან. მატარებლებს დიდის აღტაცებით ეგებებოდნენ გაფიცულები. ხვალ საერთო თათბირი გაიმართება.

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. გაფიცულების რამდენიმე ჯგუფმა მოახერხა ფოსტის ზოგიერთ განყოფილებაში შესვლა. მათ მოითხოვეს, აღეკვეთნათ უბრალო და დაზღვეულ კორესპონდენციის მიღება-მიცემა. გაფიცულებმა ტელეგრაფის შენობაში შესვლა სცადეს. მოვიდნენ ჟანდრები. კარებს პოლიცია შემოარტყეს. სახლიდან რამდენიმე ტყვია გაისროლეს. ჟანდარმებმა გაჰფანტეს ხალხი. კარებს გაძლიერებული ყარაული უდგია.

12 ოქტომბერი

პეტერბურგი, 12 ოქტომბერი. (დასასრული). ვიტტემ შემდეგის სიტყვებით დაასკვნა თავისი ბაასი დეპუტაციასთან: მართალია გაფიცვა მთავრობის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ სწუხს ყველა მცხოვრებნი, დაბოლოს ისიც მოხდება, რომ მთავრობა ძალას მოიხმარს ან მცხოვრებთა ერთი ნაწილი მეორის წინააღმდეგ ამხედრება გაფიცვისაგან გაბეზრებულ-დაზარალებული. მთავრობა განიხილავს გაფიცვით გამოწვეულ საკითხებს. სახელმწიფო სათათბირო უსათუოდ გადასწყვეტს მათო.

12 ოქტომბერს მუშაობა აღიკვეთა გემების საშენებელ ქარხანასა და ტერტონისა და ვარგუპინების ფაბრიკებში. ქუჩებში ჯარი დგას. ბალტიის ვოკზალი გაიფიცა. ვოკზალს ჯარი სცავს, პეტერბურგიდან სამი მატარებელი გაუშვეს ნიკოლაევსკი გზით.

გაიფიცა. მეორე გიმნაზია. მეაფთიაქეებმა დაუთმეს ფარმაცევტებს, უკან მიიღეს გაფიცვაში მონაწილეობის მიმღებნი და დაითხოვეს, ვინც განზრახ ეწინააღმდეგებოდა გაფიცვას. პროფ. ვვედენსკის, რომელსაც ბოიკოტი აქვს გამოცხადებული, შტვენით და კივილით შეხვდნენ, აკადემისტებმა ტაში დაუკრეს. ლექცია არ შესდგა. დღეს არ გამოვიდა გაზეთი „ნაშა ჟიზნი". რედაქცია არ დაეთანხმა ცენზურას და არც ერთი სტრიქონის შეცვლა არ მოისურვა. ცენზურამ მთელი ნომერი დაიჭირა. მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭომა და რექტორმა მიმართეს საერო განათლების მინისტრს, ყოვლად შეუძლებელია იმ უწესოების ატანა, რაც გარეშეების დასწრებით გამართულ მიტინგებს შეაქვს უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ამიტომ ან ჩქარა გამოქვეყნდეს კრების თავისუფლება, ანა და, მის გამოქვეყნებამდე, ცალკე შენობა დაეთმოსთ კრებების გასამართავად და უზრუნველ ჰყავით პირადობის ხელ-უხლებლობაო.

მოსკოვი. ფარმაცევტების გაფიცვამ სტიქიური ხასიათი მიიღო რუს. ფარმაცევტების საზოგადოების დახურვის შემდეგ. ელექტრონით განათების საზოგადოებამ აცნობა აბონენტებს, არა ვართ დარწმუნებულნი, რომ ღამით ელექტრონი იმოქმედებსო.

ვარშავა, 12 ოქტომბერი. საღამოს ექვს საათზე მიმოსვლა შეწყდა ვარშავა-ვენის რკინის გზაზე. ივანგოროდიდან გამოწვეული რკინ. გზის ბატალიონი ფეხით მოვიდა ვარშავაში. გუშინ გაიფიცა ლოძის ფაბრიკების ერთი ნაწილი.

სევასტოპოლი. მატარებლების მიმოსვლა შეწყდა. აუარებელი მგზავრი დარჩა სევასტოპოლში.

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. ღამით დიდის გაჭირებით გაუშვეს სამი მატარებელი ნიკოლაევსკი გზით. ბრესტიდან მოვიდა ხალხისა და საქონლის მატარებელი, რომლის მემანქანეს გაფიცულები დამუქრებიან. ბრესტის გზის სახელოსნოების მუშები დაითხოვეს გაფიცულების მუქარის გამო. ყაზანის გზაზე ორი მატარებელი გაიგზავნა.

სიზრან-როსტოვ-ვორონეჟი, 12 ოქტომბერი. გუშინ საღამოს შეწყდა მიმოსვლა სამხრეთ-აღმოსავლეთის გზებზე.

სუჯა. ლიუბიმოვის შაქრის ქარხნის დირექტორმა ყაზახ-რუსები გამოითხოვა გლეხების წინააღმდეგ.

ბაქო. გაიფიცა ეიზენისა და შმიტის მექანიკური ქარხანა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

12 ოქტომბერი

პეტერბურგი. „რუს"-ის სიტყვით მინისტრთა კაბინეტის შესახებ საკითხზე მუშაობა შეჩერებულ იქნა უმაღლესის ბრძანებით, რათა სისრულეში მოყვანილ იქნას განზრახულ, ღონისძიებანი. იმ თანამდებობაზე, რომელიც ახლად იქნება დაწესებული, დაინიშნება გრაფი ვიტტე.

12 ოქტომბერს თ. ხილკოვმა მიიღო რკინის გზების სიეზდის დეპუტაცია. მინისტრმა განაცხადა, რომ მას ეკონომიურისა და პროფესიონალურ მოთხოვნების მეტი წილი მოსწონს, გარდა საყოველთაო განათლებისა, რომელსაც ის ეწინააღმდეგება. რაც პოლიტიკურ მოთხოვნებს შეეხება, ეს ჩემი საქმე არააო. საიდუმლო პოლიციის არსებობა (?), მასსობრივი დაპატიმრება, გაფიცვის წინააღმდეგ იარაღის ხმარება და სიკვდილით დასჯა მას არა სჯერა. ყველაფერი ეს გაზეთების მიერ არის მოჭორებულიო. ეკონომიურ მოთხოვნების განხორციელებას იგი ეცდება, რადგანაც იგინი ახლო ესმიან მას, როგორც მუშა — სპეციალისტს, ასე უწიდებს ის თავის თავს.

გაიფიცა ცარსკოე სელოს რკინის გზა და ტრამვაი. ნევსკი ზასტავის იქითა ქარხნების მუშებმა განუცხადეს მექარხნეებს, ჩვენ ვკისრულობთ ქარხნების დაცვას, თუ სამხედრო ძალას გაიყვანთ აქედანაო.

სიმბირსკი. დაიხურა სემინარია.

მოსკოვი. პოჩტამტი დაიკეტა. წერილებს აღარ იღებენ. ნიკოლაევსკი გზაზე მგზავრების მატარებლები გაუშვეს რკინის გზის ბატალიონის დახმარებით. ყაზანის გზაზე ახალ-გაწვეულ ჯარის-კაცების წასაყვანად გამოაწვევს მატარებელი რკინის გზის ბატალიონის დახმარებით. როცა მატარებელი დაიძრა, გაფიცულები მივცვივდნენ სადგურს რევოლვერებით ხელში, გააფუჭეს სემაფორები და მავთულები. გრადონაჩალნიკმა დახურა რუსეთის ფარმაცევტთა საზოგადოება. შეიპყრეს ორი ფარმაცევტი.

სუჯა. ახლო-მახლო მცხოვრებმა მუშა გლეხებმა დაუწყეს შაქრის ქარხანას დაწიოკება. გამოიწვიეს ჯარი.

როსტოვი-დონზე. არ გამოსულა სამხრეთ-დასავლეთის მატარებლები. ამბობენ, კავკასის გზაც გაიფიცება ჩქარაო.

ხარკოვი. 10 ოქტომბერს დიდებული მიტინგი გაიმართა მუშებისა და სხვა პარტიებისა. მუშები გაემართნენ ქალაქში ეკატერინოსლავის ქუჩით. შეტაკება მოხდა ჯართან.

ვარშავა. ვისლის პირა მხარეს არც ერთი რკინის გზა არ მუშაობს. გუშინ შოპენის ქუჩაზე რამდენიმე ახალგაზდამ სერიოზულად დასჭრა თავში ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი ამალიცკი.

იაროსლავი. ყველა იაროსლავის ახლო-მახლო მდებარე გზებზე მიმოსვლა შეწყდა. ვოკზალს ჯარი ყარაულობს.

13 ოქტომბერი

პეტერბურგი. პეტერბ. პოჩტამტი აცხადებს, სანამ წესიერება ჩამოვარდებოდეს და რკინის გზაზე მიმოსვლა დაიწყებოდეს, აღარ მიიღება ამანათები, ბანდეროლები და პერიოდული გამოცემები. ფული და დაზღვეული წერილები მიიღება, მაგრამ პოჩტამტშივე შეინახვის, სანამ შესაძლებელი გახდება მათი გაგზავნა.

გომელი. გაფიცვისა გამო ყოველ-გვარი მოძრაობა შეწყდა პოლესიისა და ლიბავა—რომნის გზებზე მდგომარეობა გაჭირვებულია. ვოკზალი ბნელაშია გახვეული; ყოველგან ჯარი დგას. ძლიერი შიშიანობაა საერთოდ.

სლავიანსკი. სადგურზე ორი მატარებელი დგას მგზავრებით გაჭედილი.

კრემენჩუგი. მოვიდა ხარკოვიდან ორთქლმავალი სამის ვაგონით, რომლებში ხარკოვის რკინის გზის მოსამსახურეების 6 დელეგატი იჯდა. დეპოში მიტინგი გაიმართა. მატარებლის ფანჯარაში წითელი დროშა იყო გამოფენილი.

კიევი. გაიფიცნენ კიევის სადგურის ტელეგრაფისტები. გამოიწვიეს სამხედრო ტელეგრაფისტები. კერძო ქარხნებში გაჩნდნენ აგიტატორები და უქადაგებენ მუშაობის აღკვეთას. ქალაქში სიმშვიდეა, ფოსტა არსაიდან არ მოდის.

კურსკი. დიდებულ და მრავალ-რიცხოვან მიტინგების შემდეგ გაფიცულებმა მოითხოვეს მთავრობისა და საზოგადოებრივი დაწესებულებათა დახურვა. სასწავლებლები დაიკეტა.

ეკატერინოსლავი. ცუდი მდგომარეობა, ითხოვენ პირადობისა, კრებისა და პრესის თავისუფლებას. მუშებს ჯარი აკავებს. ტელეგრაფი არ მოქმედებს წესიერად.

ბერდიანსკი. შეწყდა მატარებლების მიმოსვლა.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობამ კიდევ უარი სთქვა მაკედონიაში საფინანსო კონტროლის შემოღებაზე. ფიქრობენ, ოსმალეთი ევროპის ერთ-ერთ სახელმწიფოს გავლენით არის უარზეო. ხილმი-ფაშასა და ევროპიელების აგენტებს შორის ძლიერ გახშირდა შეტაკება.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გ ა მ გ ე ო ბ ა

აცხადებს, რომ 18 ოქტომბრისათვის, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. ამ ვაჭრობაზე გაიცემა ზახარიევის ვიწრო ქუჩასა და სომხის ბაზარზე არხის გაყვანის საქმე.

20 საჟ. ბეტონის მილი 0,375×0.28.
28 „ „ „ 0,25×0.16.
3 სასინჯი ჭა

წერილობითი განცხადებანი ფასების აღნიშვნით უნდა წარდგენილ იქნას კონვერტებით ამა წლის 13 ოქტომბრისთვის.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, პირობების გასინჯვა შეუძლიან გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 1-დან 2½ საათამდე. (3—6.—2)

ახლად კურს დამთავრებული
ტფილისის ქალაქის საპროფესიონალო სასწავლებელში, კისრულობს ასწავლოს

ჭ რ ა - კ ე რ ვ ა

სუფთა ხელ-საქმე და ამზადებს ატესტატზედ.
ქუთაისი, ივანოვის ქ., ექ. ჯანჯღავაძის სახ.
მ. ყიფიანისა. (15—389—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го октября, 1905 г.
მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ."-სა.